

# შპს ჯი ემ ფარმასიუტიქალს

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შინაარსი:

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... | 3 |
|---------------------------------------|---|

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                  |   |
|--------------------------------------------------|---|
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                | 6 |
| ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ..... | 6 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... | 7 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....     | 9 |

|                                                                   |    |
|-------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                        | 10 |
| 2. მომზადების საფუძვლები.....                                     | 10 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები .....                      | 12 |
| 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....                  | 13 |
| 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....                 | 23 |
| 6. ამონაგები .....                                                | 28 |
| 7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....                        | 28 |
| 8. გაყიდვის და მიწოდების დანახარჯები .....                        | 29 |
| 9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                        | 29 |
| 10. სხვა ხარჯები .....                                            | 29 |
| 11. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი.....                  | 30 |
| 12. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა ..... | 30 |
| 13. ძირითადი საშუალებები.....                                     | 31 |
| 14. იჯარა .....                                                   | 32 |
| 15. არამატერიალური აქტივები.....                                  | 33 |
| 16. ინვესტიციები .....                                            | 33 |
| 17. მარაგები.....                                                 | 33 |
| 18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                              | 34 |
| 19. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                             | 34 |
| 20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                            | 35 |
| 21. პირობითი ვალდებულებები.....                                   | 35 |
| 22. დაკავშირებული მხარეები.....                                   | 35 |
| 23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....                | 36 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“-ის ხელმძღვანელობას და დამფუძნებელს,

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“-ის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

### ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2025

შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს


(ლარში)

|                                                            | შენიშვნა | 2024         | 2023         |
|------------------------------------------------------------|----------|--------------|--------------|
| ამონაგები                                                  | 6        | 184,906,189  | 130,728,912  |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                      | 7        | (62,906,511) | (48,357,786) |
| საერთო მოგება                                              |          | 121,999,678  | 82,371,126   |
| სხვა შემოსავალი                                            |          | 640,435      | 470,629      |
| გაყიდვის და მიწოდების დანახარჯები                          | 8        | (47,248,621) | (47,371,758) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                          | 9        | (16,606,312) | (18,157,314) |
| სხვა ხარჯი                                                 | 10       | (5,435,127)  | (10,054,722) |
| საოპერაციო მოგება                                          |          | 53,350,053   | 7,257,961    |
| ფინანსური შემოსავალი                                       | 11       | 3,320,120    | 2,009,825    |
| ფინანსური ხარჯი                                            | 11       | (145,291)    | (284,732)    |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი),<br>წმინდა | 12       | 2,783,064    | (3,259,402)  |
| მოგება დაბეგვრამდე                                         |          | 59,307,946   | 5,723,652    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  |          | -            | -            |
| წლის სრული შემოსავალი                                      |          | 59,307,946   | 5,723,652    |

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



გ. გოგილაშვილი

მ. კერესელიძე



**შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“**

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

|                                                            | <u>შენიშვნა</u> | <u>2024</u>        | <u>2023</u>       |
|------------------------------------------------------------|-----------------|--------------------|-------------------|
| ამონაგები                                                  | 6               | 184,906,189        | 130,728,912       |
| რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება                       | 7               | (62,906,511)       | (48,357,786)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                       |                 | <b>121,999,678</b> | <b>82,371,126</b> |
| სხვა შემოსავალი                                            |                 | 640,435            | 470,629           |
| გაყიდვის და მიწოდების დანახარჯები                          | 8               | (47,248,621)       | (47,371,758)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                          | 9               | (16,606,312)       | (18,157,314)      |
| სხვა ხარჯი                                                 | 10              | (5,435,127)        | (10,054,722)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                   |                 | <b>53,350,053</b>  | <b>7,257,961</b>  |
| ფინანსური შემოსავალი                                       | 11              | 3,320,120          | 2,009,825         |
| ფინანსური ხარჯი                                            | 11              | (145,291)          | (284,732)         |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი),<br>წმინდა | 12              | 2,783,064          | (3,259,402)       |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                  |                 | <b>59,307,946</b>  | <b>5,723,652</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  |                 | -                  | -                 |
| <b>წლის სრული შემოსავალი</b>                               |                 | <b>59,307,946</b>  | <b>5,723,652</b>  |

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

|                     |       |                |
|---------------------|-------|----------------|
| დირექტორი           | _____ | გ. გოგილაშვილი |
| ფინანსური დირექტორი | _____ | მ. კერესელიძე  |

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                                     | შენიშვნა | 31.12.2024         | 31.12.2023         |
|-----------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                                     |          |                    |                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                        |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებები                                | 13       | 45,758,689         | 39,452,382         |
| აქტივების გამოყენების უფლება                        | 14       | 716,247            | 1,285,176          |
| არამატერიალური აქტივები                             | 15       | 9,107,510          | 8,894,114          |
| გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები |          | 4,076,384          | 2,558,072          |
| ინვესტიცია                                          | 16       | 1,213,843          | 1,213,843          |
|                                                     |          | <b>60,872,673</b>  | <b>53,403,587</b>  |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                        |          |                    |                    |
| მარაგები                                            | 17       | 78,109,059         | 58,375,140         |
| საგადასახადო აქტივები                               |          | 3,057,087          | 2,421,410          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                          | 18       | 73,665,830         | 52,228,614         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         | 19       | 47,347,787         | 42,144,187         |
|                                                     |          | <b>202,179,763</b> | <b>155,169,351</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                 |          | <b>263,052,436</b> | <b>208,572,938</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>                    |          |                    |                    |
| <b>კაპიტალი</b>                                     |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალი                                  |          | 2,000              | 2,000              |
| გაუნაწილებელი მოგება                                |          | 247,664,627        | 188,356,681        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                 |          | <b>247,666,627</b> | <b>188,358,681</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                |          |                    |                    |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                   |          |                    |                    |
| გადავადებული შემოსავალი                             |          | 298,903            | 358,686            |
| საიჯარო ვალდებულება                                 | 14       | 65,915             | 798,913            |
|                                                     |          | <b>364,818</b>     | <b>1,157,599</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                   |          |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                       | 20       | 14,288,627         | 18,394,327         |
| საიჯარო ვალდებულება                                 | 14       | 672,582            | 602,549            |
| გადავადებული შემოსავალი                             |          | 59,782             | 59,782             |
|                                                     |          | <b>15,020,991</b>  | <b>19,056,658</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                            |          | <b>15,385,809</b>  | <b>20,214,257</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>                |          | <b>263,052,436</b> | <b>208,572,938</b> |

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „ჯი ემ ფარმასიუტიქალს“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

|                         | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ         |
|-------------------------|-----------------------|-------------------------|-------------|
| ნაშთი 31 დეკემბერი 2022 | 2,000                 | 182,633,029             | 182,635,029 |
| წლის სრული შემოსავალი   | -                     | 5,723,652               | 5,723,652   |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2023 | 2,000                 | 188,356,681             | 188,358,681 |
| წლის სრული შემოსავალი   | -                     | 59,307,946              | 59,307,946  |
| ნაშთი 31 დეკემბერი 2024 | 2,000                 | 247,664,627             | 247,666,627 |

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

|                                                                                                                                   | შენიშვნა  | 2024               | 2023               |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                                                                   |           |                    |                    |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                                                                |           | 59,307,946         | 5,723,652          |
| კორექტირებები:                                                                                                                    |           |                    |                    |
| მარაგების ჩამოწერის და გაუფასურების ხარჯი                                                                                         | 10        | 4,454,812          | 4,803,112          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                                              | 7; 8; 9   | 5,028,461          | 5,611,152          |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა                                                                           | 12        | (2,783,064)        | 3,259,402          |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება                                                                                            |           | (31,652)           | (193,501)          |
| გაცემული ავანსების გაუფასურებისა და ჩამოწერის ხარჯი                                                                               |           | -                  | 4,547,301          |
| ფინანსური ხარჯი                                                                                                                   | 11        | 145,291            | 284,732            |
| ფინანსური შემოსავალი                                                                                                              | 11        | (3,320,120)        | (2,009,825)        |
| გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია                                                                                               |           | (59,783)           | (179,344)          |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</b>                                                    |           | <b>62,741,891</b>  | <b>21,846,681</b>  |
| მარაგების ზრდა                                                                                                                    |           | (23,093,060)       | (30,015,075)       |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება                                                                                      |           | (19,244,330)       | 22,443,876         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება                                                                                          |           | (12,677,449)       | (17,219,090)       |
| საგადასახადო აქტივების (ზრდა)/შემცირება                                                                                           |           | (635,677)          | 360,151            |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებების შემდეგ</b>        |           | <b>7,091,375</b>   | <b>(2,583,457)</b> |
| გადახდილი პროცენტი                                                                                                                | 11, 14    | (123,039)          | (284,732)          |
| საბანკო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი                                                                                              | 11        | 3,320,120          | 1,859,499          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებების შემდეგ</b> |           | <b>10,288,456</b>  | <b>(1,008,690)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                                                                 |           |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                                                                      |           | (4,348,475)        | (5,016,783)        |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                                                                                   |           | (820,537)          | (830,306)          |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                                                              |           | <b>(5,169,012)</b> | <b>(5,847,089)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                                                                    |           |                    |                    |
| საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა                                                                                                | 14        | (667,447)          | (436,936)          |
| <b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                                                                 |           | <b>(667,447)</b>   | <b>(436,936)</b>   |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>                                                                                   |           | <b>4,451,997</b>   | <b>(7,292,715)</b> |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>                                                                                | <b>19</b> | <b>42,144,187</b>  | <b>53,358,590</b>  |
| სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                                            | 12        | (751,603)          | (3,921,688)        |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                                                                     | <b>19</b> | <b>47,347,787</b>  | <b>42,144,187</b>  |

## **შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“**

### **ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

#### **1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1999 წელს. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი სარეგისტრაციო ნომერია 211385268. კომპანიაში ფარმაცევტული ტექნოლოგიებისა და შესაბამისი სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს სრული საწარმოო ციკლი. საწარმო უშვებს მყარი ფორმის მედიკამენტებს: ტაბლეტებს, გარსით დაფარულ ტაბლეტებს, ფხვნილებსა და ჟელატინის კაფსულებს. კომპანია ფლობს GMP სტანდარტებთან შესაბამისობის ნაციონალურ სერტიფიკატს. კომპანია ახორციელებს მედიკამენტის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას და ექსპორტს შემდეგ ქვეყნებში: სომხეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი №52.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი, კახაბერ ოქრიაშვილი და წილის მმართველია ბატონი ვაჟა ოქრიაშვილი.

კომპანიის დირექტორია ბატონი გოჩა გოგილაშვილი.

#### **2. მომზადების საფუძვლები**

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

#### **ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში**

##### **ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:**

**მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები ( შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში).** IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

**საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება).** შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

**ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება).** შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

**კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება).** შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

### ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

**სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან**

**გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში).** შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

**სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან**

**ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში).** ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

► ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

#### ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

► ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები ( მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’ );

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

► ფინანსური აქტივები არა-რეკურსული მახასიათებლებით;

► ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

#### ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

► ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

**ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება.** წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

► მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

**ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).** ცვლილებები მოიცავს:

ჰეჯირების აღრიცხვა მათთვის, ვინც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს (შესწორებები IFRS 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება);

► „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;

► ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და

► ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

**სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან**

**ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში.** ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
  - ▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
  - ▶ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასის სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.
- ფასის 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასის სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასის 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:
- ▶ საწარმო არის შვილობილი კომპანია;
  - ▶ საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშგებულება; და
  - ▶ საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასის სტანდარტებს.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

### ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა/ამორტიზაცია ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

### ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასის 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

##### 4.1. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

###### შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

|                   | 31.12.2024 | 31.12.2023 |
|-------------------|------------|------------|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.8068     | 2.6894     |
| ლარი/1 ევრო       | 2.9306     | 2.9753     |

##### 4.2. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელმეკრულებო ვალდებულების მხარე.

###### ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია წილობრივი ინსტრუმენტებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

###### ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

###### ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ემიტენტის მხრიდან ე.ი. ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ხელშეკრულებით ვალდებულებას ფულადი სახსრების გადახდაზე, და წარმოადგენს ნარჩენ პროცენტს ემიტენტი წმინდა აქტივები, კომპანიის მიერ განიხილება, როგორც ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიციები აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ირჩევს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლებას, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციის რეალური ღირებულებაში შემდგომში მომხდარი ცვლილებები და წარმოადგენს სავაჭროდ გამიზნულ ინსტრუმენტს. კომპანიის პოლიტიკით ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), რადგან მათი ფლობის მიზანი არის საინვესტიციო შემოსავლის მიღება და არ არის გამიზნული სავაჭროდ. FVTPL გამოყენების შემთხვევაში რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. კომპანია მოგებაში ან ზარალში აღიარებს აღნიშნული ინვესტიციიდან მიღებულ დივიდენდებს.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ კომპანია აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს;
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება;

#### გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქალაქზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ თანხებს;
- ინდივიდუალურად განიხილავს მნიშვნელოვანი დებიტორებისაგან მისაღებ თანხებს;
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან კომპანიის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

#### დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები

კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს, რომელიც კომპანიას შესაძლოა გააჩნდეს მის დაკავშირებულ მხარეებთან ბიზნეს საქმიანობის პროცესში. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების და მომავალი მოლოდინების საფუძველზე.

#### მნიშვნელოვანი დებიტორებისაგან მისაღები თანხები

კომპანია ექსპორტით რეალიზაციას ახორციელებს სხვადასხვა ქვეყანაში: უზბეკეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, მოლდავეთი და ტაჯიკეთი. თითოეული ქვეყნის დებიტორებთან ანგარიშსწორების პირობა არის განსხვავებული. შესაბამისად, დავალიანების ხანდაზმულობის პერიოდის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სახელშეკრულებო ანგარიშსწორების პირობა რაც კომპანიას ზემოთ მოცემული ქვეყნის კომპანიებთან გააჩნია.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია ოპერირებს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომელიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

##### ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასის 9-ის შესაბამისად.

##### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

##### ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთთანვლისთვის.



#### 4.3. ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მის მიერ წარმოებული მედიკამენტების საბითუმოდ რეალიზაცია. შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში. დროის იმ მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე და კომპანია დაფარავს შესასრულებელ ვალდებულებას, კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს: გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე უფლება აქტივისთვის გადახდილი ანაზღაურების მიღებაზე; გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრების იურიდიული უფლება; გადასცა თუ არა კომპანიამ აქტივი ფიზიკურად; გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი; მიიღო თუ არა მომხმარებელმა აქტივი;

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

თითოეულ სარეალიზაციო პროდუქტზე დადგენილი ფასების შესახებ ინფორმაცია აისახება მომხმარებელთან გაფორმებულ გენერალურ ხელშეკრულებაში და ფასები შესაძლოა განსხვავებული იყოს მომხმარებლების მიხედვით. ფასების ცვლილების შემთხვევაში ინფორმაციის ასახვა ხდება საინვოისო დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტს.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან კომპანია უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე მანამ, სანამ საწარმო საქონელს გადასცემს მომხმარებელს, საწარმო აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება).

როდესაც კომპანია ვალდებულებას ასრულებს საქონლის მომხმარებლისთვის მანამდე გადაცემით, სანამ მომხმარებელი გადაუხდის ანაზღაურებას, ან სანამ ამ საქონლის ანაზღაურების გადახდის ვადა დადგება, საწარმო აღიარებს სახელშეკრულებო აქტივს, რომელიც წარმოადგენს საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის სანაცვლოდ მოპოვებულ უფლებას ანაზღაურებაზე.

ზოგიერთი ხელშეკრულების მიხედვით კომპანია პროდუქციაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნებისა და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გადახდილი ანაზღაურების სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება;
- სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ;

დაბრუნების უფლებით გაყიდული პროდუქციის აღრიცხვისათვის კომპანია აღიარებს:

- ამონაგებს გადაცემული პროდუქციისთვის, ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც კომპანია მოელის;
- ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას; და
- აქტივს თავის უფლებასთან დაკავშირებით, მომხმარებლისგან მიიღოს ის პროდუქცია, რომლის ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებას დააკმაყოფილებს კომპანია;

რეალიზაციის შედეგად კომპანიის მიერ მისაღები ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს გაცემული ფასდაკლების შედეგად. ცვალებადი ანაზღაურების შეფასება კომპანიის მიერ ხორციელდება შემდეგი მეთოდის საშუალებით:

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველაზე მეტად მოსალოდნელი ოდენობა - გულისხმობს, ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ერთადერთი, ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელ სიდიდეს.

ექსპორტით განხორციელებული რეალიზაციის დროს კომპანია შემოსავლის აღიარებას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი „ინკოტერმის“ პირობების მიხედვით - აკონტროლებს მყიდველზე საკუთრების, რისკისა და სარგებლის გადაცემის მომენტს.

##### 4.4. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

##### 4.5. იჯარები

###### იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა ორივე შემდეგი უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება და;
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება;

###### საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება.

თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით.

სხვა ცვლადი საიჯარო გადასახდელები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, ასევე მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

#### შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

იჯარის მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება აღირიცხება შემდეგნაირად:

- მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან.

##### იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებულს), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

##### ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

##### საიჯარო გადასახდელების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიანი პრაქტიკის განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახდელები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

##### მოკლევადიან იჯარა და იჯარის, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება

კომპანია გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით, გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

#### 4.6. დაბეგვრა

##### მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება საერთო და ადმინისტრაციური ხარჯების მუხლში - „გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

##### გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

#### 4.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ჯგუფი                        | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|------------------------------|-------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები            | 16-50                               |
| აღჭურვილობა და დანადგარები   | 5-20                                |
| საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი | 3-10                                |
| სატრანსპორტო საშუალება       | 8-10                                |
| სხვა                         | 6                                   |
| მიწა                         | არ ერიცხება ცვეთა                   |
| დაუმთავრებელი მშენებლობა     | არ ერიცხება ცვეთა                   |

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)****4.8. არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| <b>ჯგუფი</b>                            | <b>სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)</b> |
|-----------------------------------------|--------------------------------------------|
| მედიკამენტების რეგისტრაცია და პატენტები | 2-10                                       |
| მედიკამენტების დოსიე                    | 10                                         |
| პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები   | 3-10                                       |
| სხვა                                    | 5-10                                       |
| დაუსრულებელი არამატერიალური აქტივები    | არ ერიცხება ამორტიზაცია                    |

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**4.9. მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### 4.10. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაითვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები კი იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტების საწარმოებლად შეძენილ ნედლეულს და წარმოებულ მზა პროდუქციას. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ინდივიდუალური მეთოდის საფუძველზე.

##### 4.11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

##### 4.12. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც
- წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

#### 4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### 4.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

#### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

##### ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                | 31.12.2024         | 31.12.2023        |
|--------------------------------|--------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                    |                   |
| ინვესტიცია                     | 1,213,843          | 1,213,843         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 67,384,478         | 49,132,593        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 47,347,787         | 42,144,187        |
|                                | <b>115,946,108</b> | <b>92,490,623</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                    |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 12,718,576         | 10,102,833        |
| საიჯარო ვალდებულებები          | 738,497            | 1,401,462         |
|                                | <b>13,457,073</b>  | <b>11,504,295</b> |

##### ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.



## 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

**დონე 1:** კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

**დონე 2:** მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

**დონე 3:** არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებშიც შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და საიჯარო ვალდებულებები მოხდა მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

## კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავედროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

#### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

##### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს პერიოდულ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

##### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                | ლარი              | ევრო              | დოლარი            | სხვა           | სულ                |
|--------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|----------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                   |                   |                   |                |                    |
| ინვესტიცია                     | 1,213,843         | -                 | -                 | -              | 1,213,843          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 18,210,151        | -                 | 49,174,327        | -              | 67,384,478         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 1,043,736         | 11,302,120        | 34,471,011        | 530,920        | 47,347,787         |
|                                | <b>20,467,730</b> | <b>11,302,120</b> | <b>83,645,338</b> | <b>530,920</b> | <b>115,946,108</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                   |                   |                   |                |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 2,198,840         | 3,949,007         | 6,570,729         | -              | 12,718,576         |
| საიჯარო ვალდებულება            | 392,942           | -                 | 92,405            | 253,150        | 738,497            |
|                                | <b>2,591,782</b>  | <b>3,949,007</b>  | <b>6,663,134</b>  | <b>253,150</b> | <b>13,457,073</b>  |
|                                | <b>17,875,948</b> | <b>7,353,113</b>  | <b>76,982,204</b> | <b>277,770</b> |                    |

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                | ლარი              | ევრო               | დოლარი            | სხვა             | სულ               |
|--------------------------------|-------------------|--------------------|-------------------|------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                   |                    |                   |                  |                   |
| ინვესტიცია                     | 1,213,843         | -                  | -                 | -                | 1,213,843         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 1,836,092         | -                  | 47,296,501        | -                | 49,132,593        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 17,055,960        | 30,853             | 24,931,477        | 125,897          | 42,144,187        |
|                                | <b>20,105,895</b> | <b>30,853</b>      | <b>72,227,978</b> | <b>125,897</b>   | <b>92,490,623</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                   |                    |                   |                  |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 2,110,079         | 1,810,982          | 6,157,119         | 24,653           | 10,102,833        |
| საიჯარო ვალდებულება            | 734,452           | -                  | 132,429           | 534,581          | 1,401,462         |
|                                | <b>2,844,531</b>  | <b>1,810,982</b>   | <b>6,289,548</b>  | <b>559,234</b>   | <b>11,504,295</b> |
|                                | <b>17,261,364</b> | <b>(1,780,129)</b> | <b>65,938,430</b> | <b>(433,337)</b> |                   |

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

#### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

|                 | ევრო        |           | აშშ დოლარი   |            | სხვა     |        |
|-----------------|-------------|-----------|--------------|------------|----------|--------|
|                 | -20%        | 20%       | -20%         | 20%        | -20%     | 20%    |
| მოგება/(ზარალი) | (1,470,623) | 1,470,623 | (15,396,441) | 15,396,441 | (55,554) | 55,554 |

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

|                 | ევრო    |           | აშშ დოლარი   |            | სხვა   |          |
|-----------------|---------|-----------|--------------|------------|--------|----------|
|                 | -20%    | 20%       | -20%         | 20%        | -20%   | 20%      |
| მოგება/(ზარალი) | 356,026 | (356,026) | (13,187,686) | 13,187,686 | 86,667 | (86,667) |

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებას, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით კომპანია ახორციელებს მომხმარებლების ვადაგადაცილებების მუდმივ ანალიზს. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს დებიტორებს გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად და ასეთის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს მათ დარეზერვებას.

ფინანსური მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივის საკრედიტო ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                                              | თანხა<br>გაუფასურებამდე | გაუფასურების<br>კოეფიციენტი | მოსალოდნელი<br>საკრედიტო<br>ზარალი |
|------------------------------------------------------------------------------|-------------------------|-----------------------------|------------------------------------|
| მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან                                           | 31,559,387              | 0%                          | -                                  |
| <b>მოთხოვნები/სახელშეკრულებო აქტივები ჯგუფური<br/>გაუფასურების ანარიცხით</b> |                         |                             |                                    |
| მიმდინარე                                                                    | 27,146,555              | 1%                          | (271,466)                          |
| ვადაგადაცილება 31-90 დღე                                                     | 7,868,136               | 5%                          | (393,407)                          |
| ვადაგადაცილება 91-180 დღე                                                    | 1,650,224               | 15%                         | (247,534)                          |
| ვადაგადაცილება 181-360 დღე                                                   | 145,166                 | 50%                         | (72,583)                           |
| 361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით                                               | 1,002,142               | 100%                        | (1,002,142)                        |
|                                                                              | <b>37,812,223</b>       |                             | <b>(1,987,132)</b>                 |
| <b>ფინანსური მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივი<br/>გაუფასურებამდე</b>      | <b>69,371,610</b>       |                             |                                    |
| მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი                                          | (1,987,132)             |                             |                                    |
| <b>წმინდა ფინანსური მოთხოვნები და სახელშეკრულებო<br/>აქტივები</b>            | <b>67,384,478</b>       |                             |                                    |

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

#### 5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივის საკრედიტო ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                                              | თანა<br>გაუფასურებამდე | გაუფასურების<br>კოეფიციენტი | მოსალოდნელი<br>საკრედიტო<br>ზარალი |
|------------------------------------------------------------------------------|------------------------|-----------------------------|------------------------------------|
| მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან                                           | 23,342,447             | 0%                          | -                                  |
| სხვა ინდივიდუალურად შეფასებული<br>მოთხოვნები/სახელშეკრულებო აქტივები         | 2,810,345              | 0%                          | -                                  |
| <b>მოთხოვნები/სახელშეკრულებო აქტივები ჯგუფური<br/>გაუფასურების ანარიცხით</b> |                        |                             |                                    |
| მიმდინარე                                                                    | 15,795,931             | 0%                          | -                                  |
| ვადაგადაცილება 31-90 დღე                                                     | 4,541,344              | 5%                          | (227,067)                          |
| ვადაგადაცილება 91-180 დღე                                                    | 3,076,735              | 15%                         | (461,510)                          |
| ვადაგადაცილება 181-360 დღე                                                   | 508,736                | 50%                         | (254,368)                          |
| 361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით                                               | 1,075,839              | 100%                        | (1,075,839)                        |
|                                                                              | <b>24,998,585</b>      |                             | <b>(2,018,784)</b>                 |
| <b>ფინანსური მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივი<br/>გაუფასურებამდე</b>      | <b>51,151,377</b>      |                             |                                    |
| მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი                                          | (2,018,784)            |                             |                                    |
| <b>წმინდა ფინანსური მოთხოვნები და სახელშეკრულებო<br/>აქტივები</b>            | <b>49,132,593</b>      |                             |                                    |

#### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი, რომელიც ეფუძნება სახელშეკრულებო დაუდისკონტრირებელ დაფარვის ვალდებულებებს. ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება მოთხოვნის შემთხვევაში დაფარვას, განიხილება ისე, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ გაიცა.

ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                | 1 წლამდე   | 1-5 წლამდე | სულ        |
|--------------------------------|------------|------------|------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |            |            |            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 12,718,576 | -          | 12,718,576 |
| საიჯარო ვალდებულებები          | 716,922    | 70,014     | 786,936    |

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                | 1 წლამდე   | 1-5 წლამდე | სულ        |
|--------------------------------|------------|------------|------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |            |            |            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 10,102,833 | -          | 10,102,833 |
| საიჯარო ვალდებულებები          | 732,578    | 859,936    | 1,592,514  |

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

#### 6. ამონაგები

ამონაგები მიწოდების ბაზრების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                               | 2024               | 2023               |
|-------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>ადგილობრივი რეალიზაცია</b> |                    |                    |
| დაკავშირებული მხარე           | 49,982,565         | 26,412,188         |
| სხვა                          | 30,319,638         | 19,808,610         |
| <b>ექსპორტი</b>               |                    |                    |
| უზბეკეთი                      | 74,152,245         | 63,231,022         |
| ყირგიზეთი                     | 12,779,377         | 7,432,721          |
| სომხეთი                       | 8,266,203          | 6,503,420          |
| მოლდოვა                       | 4,769,241          | 3,867,299          |
| ტაჯიკეთი                      | 4,468,999          | 3,473,652          |
| აზერბაიჯანი                   | 167,921            | -                  |
|                               | <b>184,906,189</b> | <b>130,728,912</b> |

საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი მიეწოდება მომხმარებელს შეთანხმებულ ადგილზე - კონტროლი შეიძლება გადაეცეს როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე გადაცემის დროს. შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი საქონელზე.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, შემოსავლებთან დაკავშირებულ გარიგებებში იგი არის მარწმუნებელი, რადგან კომპანიას აქვს აღებული შესასრულებელი ვალდებულება ყველა მსგავს გარიგებაში, აქვს კონტროლი ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და ატარებს მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

დამატებითი ინფორმაცია ამონაგების შესახებ მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

#### 7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

|                         | 2024                | 2023                |
|-------------------------|---------------------|---------------------|
| ნედლეული და მასალები    | (51,001,717)        | (37,020,813)        |
| შრომის ანაზღაურება      | (7,130,554)         | (6,286,192)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია    | (1,797,375)         | (2,267,833)         |
| კომუნალური გადასახადები | (795,740)           | (839,928)           |
| სხვა                    | (2,181,125)         | (1,943,020)         |
|                         | <b>(62,906,511)</b> | <b>(48,357,786)</b> |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მიწოდების ბაზრების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|             | 2024                | 2023                |
|-------------|---------------------|---------------------|
| ექსპორტი    | (31,555,791)        | (29,707,306)        |
| ადგილობრივი | (31,350,720)        | (18,650,480)        |
|             | <b>(62,906,511)</b> | <b>(48,357,786)</b> |

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

#### 8. გაყიდვის და მიწოდების დანახარჯები

|                                                | 2024                | 2023                |
|------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| შრომის ანაზღაურება                             | (19,694,254)        | (18,551,906)        |
| რეკლამის ხარჯები                               | (12,690,498)        | (12,020,748)        |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები           | (4,342,606)         | (5,619,909)         |
| პრეპარატების მონიტორინგზე გაცემული ანაზღაურება | (4,079,004)         | (4,639,317)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                           | (1,597,581)         | (1,633,605)         |
| მარკეტინგული კვლევის და განვითარების ხარჯები   | (526,261)           | (525,966)           |
| სხვა                                           | (4,318,417)         | (4,380,307)         |
|                                                | <b>(47,248,621)</b> | <b>(47,371,758)</b> |

#### 9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                                       | 2024                | 2023                |
|-------------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| შრომის ანაზღაურება                                    | (7,254,709)         | (7,533,624)         |
| პროფესიული მომსახურება*                               | (2,011,042)         | (2,663,918)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                  | (1,633,505)         | (1,709,714)         |
| საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადის ხარჯისა | (1,026,830)         | (1,374,148)         |
| ლაბორატორიული კვლევის და განვითარების ხარჯი           | (875,546)           | (1,292,168)         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                               | (831,471)           | (961,269)           |
| კომუნალური გადასახადები                               | (821,725)           | (825,047)           |
| ოფისის ხარჯი                                          | (605,147)           | (644,795)           |
| რემონტი და ტერიტორიის კეთილმოწყობა                    | (199,836)           | (74,716)            |
| ბანკის საკომისიო                                      | (128,271)           | (129,425)           |
| სხვა                                                  | (1,218,230)         | (948,490)           |
|                                                       | <b>(16,606,312)</b> | <b>(18,157,314)</b> |

\*2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 62,872 და 51,176 ლარს, შესაბამისად.

#### 10. სხვა ხარჯები

|                                                     | 2024               | 2023                |
|-----------------------------------------------------|--------------------|---------------------|
| მარაგების ჩამოწერა                                  | (2,987,277)        | (3,545,423)         |
| მარაგების გაუფასურების რეზერვის ცვლილება            | (1,467,535)        | (1,257,689)         |
| კაფეტერიის ხარჯი                                    | (334,973)          | (191,654)           |
| დონაცია                                             | (207,578)          | (41,559)            |
| გაცემული ავანსების გაუფასურებისა და ჩამოწერის ხარჯი | -                  | (4,547,301)         |
| სხვა                                                | (437,764)          | (471,096)           |
|                                                     | <b>(5,435,127)</b> | <b>(10,054,722)</b> |

**შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

**11. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი**

|                                                       | <b>2024</b>      | <b>2023</b>      |
|-------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფინანსური შემოსავალი</b>                           |                  |                  |
| საბანკო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი                  | 3,320,120        | 1,859,499        |
| საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა | -                | 150,326          |
|                                                       | <b>3,320,120</b> | <b>2,009,825</b> |
| <b>ფინანსური ხარჯი</b>                                |                  |                  |
| საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი              | (123,039)        | (284,732)        |
| საიჯარო ვალდებულების გადაფასების ეფექტი               | (22,252)         |                  |
|                                                       | <b>(145,291)</b> | <b>(284,732)</b> |

**12. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა**

|                              | <b>2024</b>      | <b>2023</b>        |
|------------------------------|------------------|--------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები  | 751,603          | (3,921,688)        |
| სხვა ფინანსური ინსტრუმენტები | 2,031,461        | 662,286            |
|                              | <b>2,783,064</b> | <b>(3,259,402)</b> |

შპს „ჯი ემ ფარმასიუტიქალს“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება                 | მიწა      | შენობა      | აღჭურვილობა<br>და დანადგარები | საოფისე<br>აღჭურვილობა<br>და ავეჯი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა      | სულ          |
|--------------------------------------|-----------|-------------|-------------------------------|------------------------------------|-----------------------------|-----------|--------------|
| 2022 წლის 31 დეკემბერი               | 4,910,000 | 10,632,773  | 39,594,683                    | 4,517,392                          | 1,886,311                   | 1,136,445 | 62,677,604   |
| შემოსვლა                             | -         | 86,468      | 1,611,169                     | 275,047                            | 140,252                     | 1,360,305 | 3,473,241    |
| ჩამოწერა                             | -         | -           | (190,198)                     | (5,732)                            | (78,744)                    | -         | (274,674)    |
| 2023 წლის 31 დეკემბერი               | 4,910,000 | 10,719,241  | 41,015,654                    | 4,786,707                          | 1,947,819                   | 2,496,750 | 65,876,171   |
| შემოსვლა                             | -         | 806,521     | 8,562,094                     | 455,190                            | 447,454                     | 156,726   | 10,427,985   |
| შიდა რეკლასიფიკაცია                  | -         | -           | 1,201,163                     | (1,201,163)                        | -                           | -         | -            |
| ჩამოწერა                             | -         | -           | (389,072)                     | (12,738)                           | (164,053)                   | -         | (565,863)    |
| 2024 წლის 31 დეკემბერი               | 4,910,000 | 11,525,762  | 50,389,839                    | 4,027,996                          | 2,231,220                   | 2,653,476 | 75,738,293   |
| დაგროვილი ცვეთა                      |           |             |                               |                                    |                             |           |              |
| ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი       | -         | (1,707,194) | (17,722,167)                  | (2,365,303)                        | (936,757)                   | (379,841) | (23,111,262) |
| ცვეთა                                | -         | (272,306)   | (2,625,163)                   | (368,180)                          | (161,276)                   | (124,656) | (3,551,581)  |
| ჩამოწერილი ძირითადი საშუალების ცვეთა | -         | -           | 173,773                       | 2,597                              | 62,684                      | -         | 239,054      |
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი       | -         | (1,979,500) | (20,173,557)                  | (2,730,886)                        | (1,035,349)                 | (504,497) | (26,423,789) |
| ცვეთა                                | -         | (280,707)   | (2,842,764)                   | (368,087)                          | (197,509)                   | (298,604) | (3,987,671)  |
| ჩამოწერილი ძირითადი საშუალების ცვეთა | -         | -           | 296,874                       | 6,763                              | 128,219                     | -         | 431,856      |
| ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი       | -         | (2,260,207) | (22,719,447)                  | (3,092,210)                        | (1,104,639)                 | (803,101) | (29,979,604) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება          |           |             |                               |                                    |                             |           |              |
| 2023 წლის 31 დეკემბერი               | 4,910,000 | 8,739,741   | 20,842,097                    | 2,055,821                          | 912,470                     | 1,992,253 | 39,452,382   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი               | 4,910,000 | 9,265,555   | 27,670,392                    | 935,786                            | 1,126,581                   | 1,850,375 | 45,758,689   |



## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

#### 14. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სასაწყობო და საოფისე ფართები. სასაწყობო ფართი მდებარეობს ქ. თბილისში, საოფისე ფართი კი კომპანიას იჯარით აქვს აღებული იმ ქვეყნებში, სადაც ხორციელდება ექსპორტით რეალიზაცია. იჯარის ღირებულება არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. კომპანიის ხელმძღვანელობამ იჯარის ვადა გაგრძელების არჩევის უფლების გამოყენების გათვალისწინებით შეაფასა 5 წლით.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                               | სასაწყობო<br>ფართები | საოფისე<br>ფართი | სულ              |
|-------------------------------|----------------------|------------------|------------------|
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>704,294</b>       | <b>1,050,956</b> | <b>1,755,250</b> |
| ცვეთა                         | (234,517)            | (235,557)        | (470,074)        |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>469,777</b>       | <b>815,399</b>   | <b>1,285,176</b> |
| ცვეთა                         | (234,517)            | (316,643)        | (551,160)        |
| იჯარის მოდიფიკაცია            | -                    | (17,769)         | (17,769)         |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>235,260</b>       | <b>480,987</b>   | <b>716,247</b>   |

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                               | სასაწყობო<br>ფართები | საოფისე<br>ფართი | სულ              |
|-------------------------------|----------------------|------------------|------------------|
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>1,033,367</b>     | <b>955,357</b>   | <b>1,988,724</b> |
| საპროცენტო ხარჯი              | 127,916              | 156,816          | 284,732          |
| საკურსო სხვაობა               | -                    | (150,326)        | (150,326)        |
| საიჯარო ვალდებულების გადახდა  | (411,957)            | (309,711)        | (721,668)        |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>749,326</b>       | <b>652,136</b>   | <b>1,401,462</b> |
| საპროცენტო ხარჯი              | 82,891               | 40,148           | 123,039          |
| საიჯარო ვალდებულების გადახდა  | (432,623)            | (357,863)        | (790,486)        |
| საკურსო სხვაობა               | -                    | 22,252           | 22,252           |
| იჯარის მოდიფიკაცია            | -                    | (17,770)         | (17,770)         |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>399,594</b>       | <b>338,903</b>   | <b>738,497</b>   |

აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებით და დარიცხული ვალდებულებით. საიჯარო ვალდებულება აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს წლიურ 15.81%-15.23%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე ზღვრული სასესხო განაკვეთი მერყეობს წლიური 8.82%-9.68% შუალედში.

**შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“**

**მმართველობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

**15. არამატერიალური აქტივები**

| ისტორიული ღირებულება               | მედიკამენტების<br>რეგისტრაცია და<br>პატენტები | მედიკამენტების<br>დოსიე | პროგრამული<br>უზრუნველყოფა და<br>ლიცენზიები | დაუსრულებელი<br>არამატერიალური<br>აქტივები | სხვა             | სულ                |
|------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------|---------------------------------------------|--------------------------------------------|------------------|--------------------|
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>4,932,779</b>                              | <b>2,441,794</b>        | <b>3,167,088</b>                            | <b>1,590,533</b>                           | <b>406,788</b>   | <b>12,538,982</b>  |
| შემოსვლა                           | 219,694                                       | 205,721                 | 1,068,908                                   | 1,164,767                                  | -                | 2,659,090          |
| კაპიტალიზაცია                      | 772,408                                       | -                       | -                                           | (772,408)                                  | -                | -                  |
| გასვლა                             | (594,872)                                     | (231,065)               | (83,000)                                    | -                                          | (32,815)         | (941,752)          |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>5,330,009</b>                              | <b>2,416,450</b>        | <b>4,152,996</b>                            | <b>1,982,892</b>                           | <b>373,973</b>   | <b>14,256,320</b>  |
| შემოსვლა                           | 158,928                                       | 380,281                 | 367,987                                     | 899,383                                    | -                | 1,806,579          |
| კაპიტალიზაცია                      | 640,226                                       | -                       | -                                           | (640,226)                                  | -                | -                  |
| გასვლა                             | (417,391)                                     | (293,752)               | (161,870)                                   | -                                          | (127,788)        | (1,000,801)        |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>5,711,772</b>                              | <b>2,502,979</b>        | <b>4,359,113</b>                            | <b>2,242,049</b>                           | <b>246,185</b>   | <b>15,062,098</b>  |
| <b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>       |                                               |                         |                                             |                                            |                  |                    |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>(1,860,120)</b>                            | <b>(1,148,290)</b>      | <b>(1,381,128)</b>                          | <b>(37,347)</b>                            | <b>(287,940)</b> | <b>(4,714,825)</b> |
| ამორტიზაცია                        | (900,473)                                     | (287,051)               | (365,997)                                   | -                                          | (35,612)         | (1,589,133)        |
| გასვლა                             | 594,872                                       | 231,065                 | 83,000                                      | -                                          | 32,815           | 941,752            |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>(2,165,721)</b>                            | <b>(1,204,276)</b>      | <b>(1,664,125)</b>                          | <b>(37,347)</b>                            | <b>(290,737)</b> | <b>(5,362,206)</b> |
| ამორტიზაცია                        | (830,381)                                     | (246,262)               | (464,046)                                   | -                                          | (26,842)         | (1,567,531)        |
| გასვლა                             | 417,391                                       | 293,752                 | 161,870                                     | -                                          | 102,136          | 975,149            |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>(2,578,711)</b>                            | <b>(1,156,786)</b>      | <b>(1,966,301)</b>                          | <b>(37,347)</b>                            | <b>(215,443)</b> | <b>(5,954,588)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b> |                                               |                         |                                             |                                            |                  |                    |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>3,164,288</b>                              | <b>1,212,174</b>        | <b>2,488,871</b>                            | <b>1,945,545</b>                           | <b>83,236</b>    | <b>8,894,114</b>   |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>3,133,061</b>                              | <b>1,346,193</b>        | <b>2,392,812</b>                            | <b>2,204,702</b>                           | <b>30,742</b>    | <b>9,107,510</b>   |

**16. ინვესტიციები**

კომპანია ფლობს უზბეკური კომპანია სს „ფერგანა დორი-დარმონის“ 15%-იან წილს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტების საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შეაფასა წილობრივ ინსტრუმენტებში არსებული ინვესტიციების რეალური ღირებულება, რაც მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ინვესტიციების საბალანსო ღირებულებისგან, ამიტომ არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება. რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია რეალური ღირებულებით აღრიცხული წილობრივი ინსტრუმენტებისთვის ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით მოხდა რეალური ღირებულების შეფასების მე-3 იერარქიის საფუძველზე.

**17. მარაგები**

|                                         | <b>31.12.2024</b> | <b>31.12.2023</b> |
|-----------------------------------------|-------------------|-------------------|
| მზა პროდუქცია                           | 44,661,336        | 31,473,269        |
| ნედლეული და შესაფუთი მასალები           | 19,676,579        | 16,790,222        |
| ლაბორატორიული და სხვა დამხმარე მასალები | 11,044,088        | 8,372,834         |
| ნახევარფაბრიკატები                      | 7,160,863         | 5,201,505         |
| სხვა                                    | 1,250,120         | 1,111,551         |
|                                         | <b>83,792,986</b> | <b>62,949,381</b> |
| მარაგების გაუფასურების რეზერვი          | (5,683,927)       | (4,574,241)       |
|                                         | <b>78,109,059</b> | <b>58,375,140</b> |

## შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“

### მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

#### 17. მარაგები (გაგრძელება)

მარაგების გაუფასურების რეზერვში ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                            | 2024               | 2023               |
|----------------------------|--------------------|--------------------|
| <b>1 იანვარი</b>           | <b>(4,574,241)</b> | <b>(3,907,985)</b> |
| გაუფასურების რეზერვის ზრდა | (1,467,535)        | (1,257,689)        |
| მარაგების ჩამოწერა         | 357,849            | 591,433            |
| <b>31 დეკემბერი</b>        | <b>(5,683,927)</b> | <b>(4,574,241)</b> |

#### 18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                     | 31.12.2024        | 31.12.2023        |
|-------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური მოთხოვნები</b>         |                   |                   |
| სავაჭრო მოთხოვნები                  | 64,649,042        | 44,754,760        |
| სახელშეკრულებო აქტივი               | 4,722,568         | 6,323,401         |
| სხვა მოთხოვნები                     | -                 | 73,216            |
| მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (1,987,132)       | (2,018,784)       |
|                                     | <b>67,384,478</b> | <b>49,132,593</b> |
| <b>არაფინანსური მოთხოვნები</b>      |                   |                   |
| გადახდილი ავანსები                  | 6,613,637         | 3,426,819         |
| მინუს: გაუფასურების რეზერვი         | (332,285)         | (330,798)         |
|                                     | <b>6,281,352</b>  | <b>3,096,021</b>  |
|                                     | <b>73,665,830</b> | <b>52,228,614</b> |

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                     | 2024               | 2023               |
|---------------------|--------------------|--------------------|
| <b>1 იანვარი</b>    | <b>(2,018,784)</b> | <b>(2,212,285)</b> |
| ცვლილება            | 31,652             | 193,501            |
| <b>31 დეკემბერი</b> | <b>(1,987,132)</b> | <b>(2,018,784)</b> |

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

#### 19. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                                    | 31.12.2024        | 31.12.2023        |
|----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში  | 46,304,051        | 41,900,939        |
| ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში | 1,037,681         | 233,547           |
| ნაღდი ფული                                         | 6,055             | 9,701             |
|                                                    | <b>47,347,787</b> | <b>42,144,187</b> |

ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

**20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                   | 31.12.2024        | 31.12.2023        |
|-----------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>    |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები             | 8,372,903         | 3,326,978         |
| სახელფასო ვალდებულება             | 2,741,350         | 5,053,840         |
| სხვა ვალდებულებები                | 1,604,323         | 1,722,015         |
|                                   | <b>12,718,576</b> | <b>10,102,833</b> |
| <b>არაფინანსური ვალდებულებები</b> |                   |                   |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები*     | 1,570,051         | 8,291,494         |
|                                   | <b>1,570,051</b>  | <b>8,291,494</b>  |
|                                   | <b>14,288,627</b> | <b>18,394,327</b> |

\*წარმოადგენს მედიკამენტების შესყიდვისთვის მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილ ანაზღაურებას, რომლის მიწოდებაც იგეგმება მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

**21. პირობითი ვალდებულებები**

**სასამართლო დავები** - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არსებითი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**დივიდენდის განაწილება** - იმ შემთხვევაში თუ კომპანია დამფუძნებლებზე გაანაწილებს 2024 წლის მდგომარეობით არსებულ მოგებას, გადასახდელი ექნება მოგების გადასახადი 43,706 ათასი ლარის ოდენობით.

**უზრუნველყოფა** - კომპანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის დაკავშირებული მხარის 6,492,866 ლარის ეკვივალენტის მოცულობის სესხების თავდები კომერციული ბანკის სასარგებლოდ. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეს შეუძლია მოემსახუროს კომერციული ბანკის სესხს და კომპანიას არ გაუკეთებია მოცემულ თავდებობასთან დაკავშირებით ანარიცხები.

**22. დაკავშირებული მხარეები**

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                           | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული<br>კომპანიები |
|-------------------------------------------|---------------------------------------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b> |                                                   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 31,557,120                                        |

**22. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)**

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                                                                                                                                      | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული<br>კომპანიები |                                |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------|--------------------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>                                                                                                                            |                                                   |                                |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                                                                                           |                                                   | 23,342,447                     |
| კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად: |                                                   |                                |
|                                                                                                                                                                      | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული<br>კომპანიები | ხელმძღვანელობის<br>ანაზღაურება |
| <b>სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>                                                                                                                                  |                                                   |                                |
| ამონაგები                                                                                                                                                            | 49,982,565                                        | -                              |
| შრომის ანაზღაურება                                                                                                                                                   | -                                                 | (2,320,425)                    |
| კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად: |                                                   |                                |
|                                                                                                                                                                      | საერთო კონტროლს<br>დაქვემდებარებული<br>კომპანიები | ხელმძღვანელობის<br>ანაზღაურება |
| <b>სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>                                                                                                                                  |                                                   |                                |
| ამონაგები                                                                                                                                                            | 26,412,188                                        | -                              |
| შრომის ანაზღაურება                                                                                                                                                   | -                                                 | (542,400)                      |

**23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

კომპანიამ 2025 წლის 28 თებერვალს დააკმაყოფილა კარგი საწარმოო პრაქტიკის მოთხოვნები და მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის კომპანიას მიღებული აქვს GMP სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატი.

# შპს ჯი ემ ფარმასიუტიქალს

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შინაარსი:

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... | 3 |
|---------------------------------------|---|

## მმართველობის ანგარიშგება

|                                                                               |    |
|-------------------------------------------------------------------------------|----|
| საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....              | 4  |
| საქმიანობის აღწერა .....                                                      | 4  |
| კომპანიის სტრუქტურა .....                                                     | 8  |
| GM PHARMA – 2024 წლის მიღწევები და განვითარების გეგმები.....                  | 10 |
| ინფორმაცია უცხოური წარმომადგენლობების საქმიანობაზე.....                       | 15 |
| მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოს ჯანდაცვის ბაზარი .....      | 15 |
| ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები .....                                         | 16 |
| სოციალური პასუხისმგებლობა.....                                                | 19 |
| ძირითადი რისკები და გაურკვევლობები .....                                      | 20 |
| ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....                             | 22 |
| დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ ..... | 22 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალსის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებელს,

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

### მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალსის“ (შემდგომში კომპანია) 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 29 სექტემბერს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია კომპანიის თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025



**საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა**

**საქმიანობის აღწერა**

GM PHARMA (შპს „ჯი ემ ფარმასიუტიქალს“) 100%-ით ქართული ინვესტიციით დაფუძნებული ფარმაცევტული საწარმოა, რომელიც 1999 წელს დაარსდა (რეგისტრაციის თარიღი: 02/04/1999), 2000 წელს კი პირველი მედიკამენტი - რიფამპინის კაფსულები გამოუშვა (23/02/2000). ამ წლების განმავლობაში კომპანია სტაბილურად ვითარდებოდა და დღესდღეობით GM PHARMA წარმოადგენს საერთაშორისო, მულტინაციონალურ ფარმაცევტულ კომპანიას, რომლის მედიკამენტები და ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები (ბად) იწარმოება დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა (გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი, შვედეთი, შვეიცარია) და საქართველოს GMP-სერტიფიცირებულ საწარმოებში. GM PHARMA >130 ბრენდითა და >220 გამოშვების ფორმით ფლობს პროდუქტების ერთ-ერთ უდიდეს პორტფელს რეგიონში და მოიცავს სამკურნალო საშუალებების თითქმის ყველა ჯგუფს (კარდიოლოგია, რესპირაცია, პედიატრია, გასტროენტეროლოგია, გინეკოლოგია, უროლოგია, ქირურგია, ნევროლოგია და სხვა), ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების ჩათვლით. GM PHARMA ახორციელებს 100-ზე მეტი დასახელების პროდუქტის ექსპორტს მსოფლიოს ექვს ქვეყანაში (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, მოლდოვა და აზერბაიჯანი), თუმცა გარკვეული მედიკამენტები სხვა ქვეყნებშიც (მაგ. ყაზახეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლიბია) აქვს დარეგისტრირებული. GM PHARMA-ს ოფიციალური წარმომადგენლობები გააჩნია დსთ-ის 7 ქვეყანაში (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი), სადაც დასაქმებულია 230-ზე მეტი თანამშრომელი და წარმატებით ხორციელდება ქართული ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია.



GM PHARMA-ს საწარმო თბილისში წამყვანი ფარმაცევტული წარმოება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც უახლესი ტექნოლოგიების საშუალებით ხორციელდება მყარი სამკურნალო ფორმების წარმოების სრული ციკლი: დისპენსირება, შერევა, გრანულირება, ტაბლეტირება, კაფსულირება, შემოგარსვა, შეფუთვა და ხარისხის კონტროლი.

2024 წლის მდგომარეობით, კომპანიას აქვს ფარმაცევტული წარმოებისა და პროდუქციის დისტრიბუციისთვის აუცილებელი ყველა ნაციონალური თუ საერთაშორისო სერტიფიკატი და ნებართვა:

- ❖ კარგი საწარმოო პრაქტიკის – ნაციონალური GMP (საქართველო).
- ❖ კარგი საწარმოო პრაქტიკის – GMP PIC/S (საერთაშორისო).
- ❖ ხარისხის მართვის – ISO 9001:2015 და ISO 17025:2017/2018.
- ❖ აშშ-ის საკვები დანამატების უსაფრთხოების ინსპექციის (NSF International) – NSF/ANSI.
- ❖ კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის – ნაციონალური GDP (საქართველო).

**ისტორია, აღიარება და ჯილდოები:**

- ❖ 2000 – კომპანიამ გამოუშვა თავისი პირველი პროდუქტი (რიფამპინის კაფსულები, 23/02/2000).
- ❖ 2003-2007 – კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტები რეგისტრირდება დსთ-ის ქვეყნებში.
- ❖ 2004 – კომპანიის ხარისხის მართვის სისტემას მიენიჭა ISO 9001:2000 სერტიფიკატი ISO (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) სტანდარტების შესაბამისად. კომპანია 2005 წლიდან ყოველწლიურად გადის საკონტროლო და სასერტიფიკატო აუდიტებს ISO 9001 მოქმედი ვერსიების შესაბამისად (სერტიფიცირების ორგანო TÜV SÜD Management Service GmbH, გერმანია):
  - 2011 – სასერტიფიკატო აუდიტის შედეგად კომპანიას მიენიჭა ISO 9001:2008 შესაბამისობის სერტიფიკატი.
  - 2014 – კომპანიაში განხორციელდა ISO 9001:2008 ხელახალი სასერტიფიკატო აუდიტი.

## მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

- 2018 – კომპანიამ გაიარა ISO სასერტიფიკატო აუდიტი და შედეგად მიენიჭა ISO 9001:2015 შესაბამისობის სერტიფიკატი.
- 2021 – კომპანიამ გაიარა ISO 9001:2015 საკონტროლო აუდიტი.
- 2022 – კომპანიამ გაიარა ISO 9001:2015 საკონტროლო აუდიტი.
- 2023 – კომპანიამ გაიარა ISO 9001:2015 სასერტიფიკაციო აუდიტი.
- 2024 – კომპანიამ გაიარა ISO 9001:2015 საკონტროლო აუდიტი.
- ❖ 2004 – „საქართველოს საუკეთესო საშუალო ზომის საწარმო“ – დასახელდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCI) მიერ.
- ❖ 2005 – დაარსდა კვლევისა და განვითარების ლაბორატორია (R&D).
- ❖ 2007 – GM PHARMA-ს მიენიჭა კარგი საწარმოო პრაქტიკის – GMP EU Vol. IV შესაბამისობის სერტიფიკატი (სერტიფიცირების ორგანო Heathside Information Services, დიდი ბრიტანეთი).
- ❖ 2008 – კომპანიის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ გაიარა აკრედიტაცია ISO 17025-ის სტანდარტის შესაბამისად და „აკრედიტაციის ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ მიენიჭა აკრედიტებული ხარისხის კონტროლისა და კვლევის ლაბორატორიის სტატუსი. კომპანია 2009 წლიდან ყოველწლიურად გადის საკონტროლო და სასერტიფიკატო აუდიტებს ISO 17025-ის მიმდინარე ვერსიების შესაბამისად. მათ შორის, წარმატებით იქნა გავლილი 2023 წლის საკონტროლო და სასერტიფიკატო აუდიტიც.
- ❖ 2011 – „წარმატებული საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი“ – ეროვნული ბიზნეს დაჯილდოება „მერკური 2011“ – დასახელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ.
- ❖ 2014, 2017, 2018, 2020, 2023 – კომპანიამ წარმატებით გაიარა უკრაინის მარეგულირებელი ორგანოს ინსპექცია და მიენიჭა კარგი საწარმოო პრაქტიკის – GMP PIC/S შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს ფარმაცევტული ინსპექციების კონვენცია/კოოპერაციის სქემის (PIC/S), ევროკავშირის დირექტივებისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან ჰარმონიზებულ მარეგულირებელი დოკუმენტების მიმდინარე ვერსიებთან კომპანიის შესაბამისობას.
- ❖ 2017, 2018 – GM PHARMA-ს მიენიჭა აშშ-ის საკვები დანამატების უსაფრთხოების ინსპექციის (NSF International) NSF/ANSI სერტიფიკატი, ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების (ბად) წარმოების სფეროში.
- ❖ 2017 – GM PHARMA 2017 წლიდან წარმოადგენს №1 კომპანიას ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე, გაყიდვების როგორც თანხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.
- ❖ 2017, 2019, 2020, 2022, 2023, 2024 – „წლის ლიდერი“ ქართულ ფარმაცევტულ ინდუსტრიაში – დასახელდა შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისა და საქართველოს ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მიერ. GM PHARMA აღიარებულია საუკეთესო ფარმაცევტულ კომპანიად საქართველოში საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით "ბრუნვა", ასევე დასაქმებულებზე დანახარჯების მიხედვით, რაც გულისხმობს როგორც საშუალო ხელფასს, ასევე ჯამურ დანახარჯებს დასაქმებულებზე, სხვადასხვა ბენეფიტებისა თუ თანამშრომლების ტრენინგებსა და განვითარებაზე დახარჯული თანხების ჩათვლით.
- ❖ 2019 – კომპანიის მიკრობიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიამ გაიარა ISO 17025:2017/2018 აკრედიტაცია და „აკრედიტაციის ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ მიენიჭა აკრედიტებული ლაბორატორიის სტატუსი. კომპანია 2020 წლიდან ყოველწლიურად გადის საკონტროლო და სასერტიფიკატო აუდიტებს ISO 17025-ის მიმდინარე ვერსიების შესაბამისად. მათ შორის, წარმატებით იქნა გავლილი 2023 წლის რეაკრედიტაცია.
- ❖ 2019 – GM PHARMA-ს პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა ექსპორტის ქვეყნებში გადააჭარბა გაყიდვებს საქართველოს ბაზარზე, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოს ეკონომიკისთვის და წინადადებული ნაბიჯია კომპანიის მთავარი მიზნისკენ – გახდეს გლობალური ორგანიზაცია.
- ❖ 2022 – GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) პარტნიორი დანიური კომპანია PHARMAKON-ის ევროპელი GMP ინსპექტორების მიერ ჩატარებული სასწავლო აუდიტი, რომლითაც GM PHARMA-ს ევროკავშირის კარგი საწარმოო პრაქტიკის (EU GMP) სტანდარტებთან შესაბამისობა დადასტურდა (საწარმოს, ლაბორატორიების, საწყობის, ტექნოლოგიურ-ინჟინრული აღჭურვილობისა და ზოგადად, ხარისხის მართვის სისტემების შესაბამისობა EU GMP სტანდარტებთან).
- ❖ 2022 – კომპანიამ წარმატებით გაიარა კარგი საწარმოო პრაქტიკის ნაციონალური GMP ინსპექცია და მიენიჭა GMP სტანდარტებთან შესაბამისობის ნაციონალური სერტიფიკატი. 2024 – კომპანიამ წარმატებით გაიარა კარგი საწარმოო პრაქტიკის ნაციონალური GMP განმეორებითი გეგმიური ინსპექცია.
- ❖ 2023 – ხარისხის კონტროლის (QCL) და მიკრობიოლოგიური კონტროლის (MCL) ლაბორატორიებმა წარმატებით მიიღეს მონაწილეობა ყოველწლიურ საერთაშორისო ლაბორატორიათაშორის შედარებაში, ე.წ. პროფესიულ ტესტირებაში, რომელიც ლაბორატორიების პროფესიული კომპეტენციისა და სანდოობის

**მმართველობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

დადასტურების ერთ-ერთ მძლავრ საზომს წარმოადგენს. GM PHARMA-ს პროფესიული ტესტირების დონორს წარმოადგენს 40-წლიანი გამოცდილების მქონე კომპანია LGC Axio Proficiency Testing (დიდი ბრიტანეთი), რომელიც მსოფლიო მასშტაბით 160 ქვეყნის 13 000-ზე მეტ ლაბორატორიას აერთიანებს და სხვადასხვა მიმართულებით 2000-ზე მეტ პროფესიულ ტესტირებას ახორციელებს ყოველწლიურად. GM PHARMA-ს ხარისხის კონტროლის ლაბორატორიას, აკრედიტაციის სფეროს ფარგლებში, მონაწილეობა მიღებული აქვს პროფესიული ტესტირების 21 რაუნდში, სადაც დაფიქსირებული 53 ანალიზის შედეგიდან ყველა დამაკმაყოფილებელია. ხოლო მიკრობიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიას მონაწილეობა მიღებული აქვს პროფესიული ტესტირების 6 რაუნდში, სადაც დაფიქსირებული 55 ანალიზის შედეგიდან ასევე ყველა დამაკმაყოფილებელია. GM PHARMA-ს ლაბორატორიების კომპეტენციას ადასტურებს კომპანია LGC Axio Proficiency Testing-დან მოწოდებული ინდივიდუალური ანგარიშები დადებითი (მწვანე) შედეგებით და მათ მიერვე გაცემული კომპეტენციის და სანდოობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

2023 – GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა ევროკავშირის კარგი საწარმოო პრაქტიკის სტანდარტების (EU GMP: EudraLex – Volume 4 – Good Manufacturing Practice (GMP) guidelines) შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მაღალი ავტორიტეტის მქონე გერმანული კომპანია Heacon Service GmbH-ის ფარმა-აუდიტის ჯგუფმა განახორციელა. აღნიშნული წარმატება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს GM PHARMA-ს წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას. Heacon ჯგუფი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მსოფლიო აუდიტორების გუნდით. კომპანიას ფარმაცევტულ და ჯანდაცვის ინდუსტრიაში განხორციელებული აუდიტების 20-წლიანი გამოცდილება გააჩნია. მათ მიერ განხორციელებული აუდიტების სიაში შეხვდებით ისეთ დიდ ფარმა-მწარმოებელ კომპანიებს, როგორიცაა: AstraZeneca Pharmaceuticals LP, B. Braun Melsungen AG, Sanofi Chimie SA, Egis Pharmaceuticals PLC და სხვ. Heacon ჯგუფის მონაცემთა ბაზაში შეტანილია ინფორმაცია GM PHARMA-ს აუდიტის შესახებაც.

2023 – GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა წამყვანი ბრიტანული საკონსულტაციო სააგენტო Woodley BioReg-ის ბრიტანელი ექსპერტების მიერ ჩატარებული ევროკავშირის კარგი საწარმოო პრაქტიკის სტანდარტებთან (EU GMP) შესაბამისობის აუდიტი. Woodley BioReg-ს აქვს დიდი გამოცდილება რეგულატორულ საკითხებში - ის რეგულარულად ეხმარება გაერთიანებული სამეფოს, ევროკავშირის, სამხრეთ აზიის, ჩინეთისა და სამხრეთ კორეის მწარმოებლებს GMP სერტიფიკატის მიღებაში და შემდეგ მათი პროდუქციის დარეგისტრირებაში მაღალ რეგულირებულ ბაზრებზე, როგორიცაა ევროკავშირი, ბრიტანეთი თუ აშშ.

2023 – GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის ნაციონალური GDP ინსპექცია და მიენიჭა GDP სტანდარტებთან შესაბამისობის ნაციონალური სერტიფიკატი.

2023 – GM PHARMA-მ წარმატებით დაასრულა წარმომადგენლობის რეგისტრაცია აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

2019, 2021, 2022, 2023, 2024 – GM PHARMA ქართული ფარმაცევტული სექტორის ლიდერის სტატუსით წარადგენს საქართველოს საერთაშორისო ფარმაცევტულ გამოფენაზე “CPhI Worldwide” (2024 - “CPHI Milan 2024”), სადაც მსოფლიოს მასშტაბით ათასობით პროფესიონალი მწარმოებელი, მომწოდებელი და შემსყიდველი კომპანია იღებს მონაწილეობას. აღნიშნულ გამოფენაზე, 2024 წელსაც, GM PHARMA მედიკამენტების მწარმოებელი ერთადერთი ეგზიბიტორი (ექსპონენტი) კომპანია იყო საქართველოდან. გამოფენის ფარგლებში, GM PHARMA-ს გუნდმა უამრავი წარმატებული სამუშაო შეხვედრა გამართა ამჟამინდელ თუ პოტენციურ პარტნიორებთან. მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან ერთად განხილულ იქნა ახალი წამლების კვლევა-განვითარების (ე.წ. R&D co-development), ტექნოლოგიური ტრანსფერის, სალიცენზიო პროექტების (“In-“ და “Out-licensing”) განხორციელების შესაძლებლობები.

2024 – GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა კარგი საწარმოო პრაქტიკის ნაციონალური GMP განმეორებითი გეგმიური ინსპექცია.

2024 – GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა ფარმაკოზედაზმუდველობის სისტემის ინსპექტირება ყაზახეთის მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

2024 – GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა უზბეკეთის მარეგულირებლის GMP ინსპექცია.

GM PHARMA-ს საერთაშორისო სერტიფიკატები თუ საერთაშორისო აღიარება უზრუნველყოფს საერთაშორისო და ევროპულ რეგულაციებთან სრულ შესაბამისობას, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე პროცესების კუთხით.

GM PHARMA-ს მიზანია, იქცეს ფარმაცევტული ინდუსტრიის რეგიონული ლიდერიდან გლობალურ ორგანიზაციად. ამ მიზნის განსახორციელებლად, ასევე თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების სრულად დამაკმაყოფილებლად, კომპანია ამყარებს გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობებს და ახორციელებს

**მმართველობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

ინვესტიციებს მსოფლიოში ცნობილ ფარმაცევტულ კომპანიებთან, მათგან შემოაქვს ნედლეული, მასალები და ასევე კონტრაქტული წარმოების საფუძველზე სხვადასხვა მედიკამენტი.

GM PHARMA-ს მომწოდებლები და პარტნიორები ევროპისა და აშშ-ს ისეთი წამყვანი კომპანიები არიან, როგორცაა, მაგ.:

- ✚ Medichem / Combino - ესპანეთი
- ✚ Kern Pharma - ესპანეთი
- ✚ Cinfa - ესპანეთი
- ✚ Reig Jofre - ესპანეთი
- ✚ BIOBERICA S.A. - ესპანეთი
- ✚ FARMHISPANIA S.A. - ესპანეთი
- ✚ Chemo Iberica - ესპანეთი
- ✚ Chr. Hansen / UAS Labs - ა.შ.შ.
- ✚ Basi - პორტუგალია
- ✚ Menarini / Etem - თურქეთი
- ✚ Pharos - საბერძნეთი
- ✚ Elpen - საბერძნეთი
- ✚ WeltPharma - გერმანია
- ✚ EPO - იტალია
- ✚ REFARMED Healthcare - შვეიცარია
- ✚ Capsugel - ბელგია
- ✚ Colorcon - ინგლისი

GM PHARMA-ს გააჩნია მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან ერთობლივი სალიცენზიო პროექტების განხორციელების გამოცდილება:

- ✚ F. HOFFMANN-LA ROCHE (შვეიცარია): პეგილირებული ინტერფერონის მზა ფორმის შეფუთვა რეგიონული ბაზრისთვის (2013-2015 წ.წ.).
- ✚ LALLEMAND PHARMA (შვეიცარია): პრეპარატ ISMIGEN®-ის შეფუთვა და მისი მარკეტინგი საქართველოსა და დსთ-ის ქვეყნებში (მიმდინარე პროექტი დაიწყო 2010 წელს).
- ✚ Medichem/Combino Pharma (Spain/Malta): მნიშვნელოვანი კარდიოვასკულური მედიკამენტის წარმოების ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ე.წ. „Know-how“-ს გადმოცემის ხელშეკრულება გაფორმდა (მიმდინარე პროექტი დაიწყო 2022 წელს).

GM PHARMA ფოკუსირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მკურნალობის უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის მიზანია, მოახდინოს სხვადასხვა პათოლოგიის პრევენცია, მკურნალობა და ბაზარზე არსებული თერაპიული საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. GM PHARMA-ს პრეპარატების ჩამონათვალშია თანამედროვე მედიკამენტები, რომლებიც უკანასკნელი წლების საერთაშორისო თუ ადგილობრივი გაიდლაინებითა და პროტოკოლებით არის მოწოდებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, GM PHARMA-ს სრული საწარმოო ციკლი შეესაბამება თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიების სტანდარტებს. საწარმო უშვებს ტაბლეტების და კაფსულების ფართო ასორტიმენტს.

GM PHARMA-ს თბილისის საწარმოს საშუალო წარმადობა არის 458 000 ტაბლეტი / საათში, 100 000 კაფსულა / სთ-ში.



**მმართველობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

GM PHARMA მედიკამენტების წარმოებაში იყენებს მოწინავე ტექნოლოგიებს და აღჭურვილობას, რომლებიც მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებსა და მკაცრ ეკოლოგიურ მოთხოვნებს პასუხობს. GM PHARMA-ს საწარმო თბილისში აღჭურვილია მსოფლიოს წამყვანი კომპანიების უახლესი საწარმოო და ლაბორატორიული დანადგარებით: GERTEIS, L.B BOHLE, BOSCH, FETTE, UHLMANN, HÜTTLIN, IMA, SERVOLIFT, SARTORIUS, METLER TOLEDO, SKINETTA, ENFLEX, ERWEKA, MILLIPORE, BMT, THERMO SCIENTIFIC, PANASONIC, SHIMADZU, WATERS, WALDNER, RUMED WEISS TECHNIK, AGILENT TECHNOLOGIES, STILMAS, KORSCH, GUK, VOLKMAN, PIAB, RADWAG, BELIMED და სხვა. საწარმოში ფუნქციონირებს ხარისხის კონტროლის, ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის სისტემებისა და შესაბამისობის განყოფილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პრეპარატების ხარისხს წარმოების ყველა ეტაპზე - პროდუქტის პირველადი კონტროლი, შუალედური კონტროლი (პერიოდულად ხდება ნახევარპროდუქტის, გარემო პირობების, პერსონალის მიერ შესრულებული ოპერაციების კონტროლი და მონიტორინგი). საწარმოში ფუნქციონირებს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები, რომლებიც აკმაყოფილებენ GMP (Good Manufacturing Practice), ISO 17025 და ISO 9001, GCLP (Good Clinical Laboratory Practice) და GLP (Good Laboratory Practice) მოთხოვნებს, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს ბიოეკვივალენტობის კვლევების ბიოქიმიური და სტატისტიკური ნაწილი.

კომპანია თანამშრომლობს სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან, როგორიცაა: European Compliance Academy.

GM PHARMA მუდმივად აქვს პირდაპირი კავშირი თავის კლიენტებთან. მათგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მართვის მიზნით, საწარმოში ორგანიზებულია რეკლამაციისა და გვერდითი მოვლენების მონიტორინგის სისტემა.

## GM PHARMA – ემსახურება მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება

### კომპანიის სტრუქტურა

GM PHARMA-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი.

კომპანია იმართება დირექტორის მიერ.

ამჟამად მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცდა 2024 წლის დეკემბერში (06/12/2024), რომლის მიხედვითაც უმაღლესი მენეჯმენტის წევრები არიან:

- ✚ დირექტორი
- ✚ აღმასრულებელი დირექტორი
- ✚ ფინანსური დირექტორი
- ✚ წარმოების დირექტორი
- ✚ დირექტორი ხარისხის დარგში
- ✚ უფლებამოსილი პირი (QP)
- ✚ დირექტორის მოადგილე ტექნიკურ და სამეურნეო დარგში

## დირექტორი

აღმასრულებელი  
დირექტორი

ფინანსური  
დირექტორი

უფლებამოსილი  
პირი (QP)

დირექტორის  
მოადგილე ტექნიკურ  
და სამეურნეო დარგში

დირექტორს ექვემდებარება შემდეგი განყოფილებები:

- ✚ ფინანსური განყოფილება
- ✚ შესყიდვების განყოფილება
- ✚ იურიდიული განყოფილება
- ✚ ტექნიკური და სამეურნეო განყოფილება
- ✚ შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

## აღმასრულებელი დირექტორი

წარმოების დირექტორი

დირექტორი ხარისხის დარგში

აღმასრულებელ დირექტორს ექვემდებარება შემდეგი განყოფილებები:

- ✚ საწარმოო განყოფილება
- ✚ ხარისხის განყოფილება
- ✚ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება
- ✚ ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება
- ✚ რეგისტრაციის და მარეგულირებელთან ურთიერთობის განყოფილება
- ✚ ფარმაკოზედამხედველობის განყოფილება
- ✚ კვლევის და განვითარების განყოფილება
- ✚ გაყიდვების განყოფილება
- ✚ განვითარების განყოფილება
- ✚ მიწოდების ჯაჭვის განყოფილება
- ✚ კლინიკური კვლევების მენეჯერი
- ✚ ბიზნესის ფინანსური ანალიტიკოსი
- ✚ HUB მარკეტინგის მენეჯერი
- ✚ ექსპორტი - ექსპორტის მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯერი / წარმომადგენლობები

2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 625 თანამშრომელს (საექსპორტო ქვეყნების ჩათვლით).

**GM PHARMA – 2024 წლის მიღწევები და განვითარების გეგმები**

GM PHARMA ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე. კომპანიის მთავარ მიზანს მომხმარებელში ბრენდის ცნობადობის ამაღლება და ხარისხიანი, ხელმისაწვდომი პროდუქციით მათი უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფარმაცევტულ ბაზრებზე არსებული მაღალი კონკურენცია, ახალ ბაზრებზე შესვლის გეგმები, მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან მუდმივად მზარდი მოთხოვნები, კოვიდ-პანდემიის გამო გამოწვეული ეკონომიკური რეცესია ჩვენს საოპერაციო ბაზრებზე, რეფერენტული ფასწარმოქმნის სისტემის დანერგვა საქართველოში - ეს მხოლოდ ნაწილია იმ რეალობის, რომელიც 2020-2024 წლებს თან გასდევდა. მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, GM PHARMA აგრძელებს დინამიურ და მდგრად განვითარებას, რომელიც საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე უპირობოდ მოწინავე პოზიციის დაკავებაში აისახება, ასევე მუდმივად მზარდია ექსპორტიც.

კომპანიის მენეჯმენტის სურვილი - GM PHARMA გახდეს best-in-the-class კომპანია - გარკვეულ ორგანიზაციულ ტრანსფორმაციასაც გულისხმობს, რაც მიმართულია წარმატების შემდეგი სამი ძირითადი მდგენელის მუდმივ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე: ადამიანური რესურსები, ტექნოლოგიები და სწორი პროცესები, რომლებიც ადამიანური რესურსებისა და ტექნოლოგიების უკეთესად გამოყენების საშუალებას გვაძლევს.

2024 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები/აქტივობები, მიღწეული მიზნები და ორგანიზაციული ცვლილებები:

- ❖ 2024 წლის განმავლობაში გაძლიერდა კომპანიაში მიმდინარე პროცესების KPI მაჩვენებლების (ეფექტურობის ძირითადი ინდიკატორები) დეტალური ანალიზი და არსებულების სრულყოფა ყველა დეპარტამენტში - წარმოებაში, ხარისხის განყოფილებებში, კადრებში, მომარაგების ჯაჭვში, ტექნიკურ და IT (ინფორმაციული ტექნოლოგიების) განყოფილებებში, გაყიდვების თუ განვითარების განყოფილებებში, რაც ემსახურება ნაკლებად ეფექტური პროცესების ელიმინაციას და სწორი მიმართულების არჩევას.
- ❖ საწარმოო განყოფილებაში გაგრძელდა წარმოების სამუშაო გეგმის ოპტიმიზაცია, გაუმჯობესდა წარმოების საოპერაციო ეფექტიანობა: საწარმოო მანქანა-დანადგარების ეფექტიანობის (OEE – overall equipment efficacy) და აღჭურვილობის დატვირთულობის ანალიზისა და წარმოების პროცესების ოპტიმიზაციის სისტემების იმპლემენტაცია, საოპერაციო KPI-ების დანერგვა-გაუმჯობესება.
- ❖ განხორციელდა საწარმოო განყოფილების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება-მოდერნიზება:
  - CAPSULE FILLING MACHINE -ADAPTA 100 და "IMA Hermetica"-ს შეძენა.
  - ვიბრაციული საცერი გაშვებულია და განხორციელდა ინსტალაცია.
  - როლერ-კომპაქტორი "MINI PACTOR" გაშვებულია და განხორციელდა ინსტალაცია.
  - მშრალი შემრევი "Bohle PM600" გაშვებულია და განხორციელდა ინსტალაცია.
  - ავტომატური ჩამტვირთავი კონვეიერების ინსტალაცია წისქვილისთვის (Bosch).
  - შესაფუთი ხაზებისთვის (შესაფუთი მანქანები "UHLMANN"- C 150 და UHLMANN"-B 1330) და საწყობისთვის სერიალიზაციის და აგრეგაციის დანადგარების გაშვება და ინსტალაცია.

❖ 2024 წლის განმავლობაში GM PHARMA-ს თბილისის საწარმოში:

წარმოებულია:

- 174 535 371 ტაბლეტი.
- 31 194 986 კაფსულა.

შეფუთულია:

- 237.6 მლნ ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა).
- 15 720 000 კოლოფი.
- პროდუქციის 601 სერია.
- ისა და განვითარების განყოფილებაში (R&D) 2024 წელს განხორციელებული პროექტები:
- დასრულდა 2 ახალი პროდუქტის განვითარება (ე.წ. In-house development).
- პროცესშია 12 ახალი პროდუქტის განვითარება (ე.წ. In-house development).
- დასრულდა 1 პროდუქტის რეფორმულაცია.
- პროცესშია 1 პროდუქტის რეფორმულაცია.

❖ აქტიურად გრძელდებოდა 25 კომპანიასთან ახალი პრეპარატების (30-ზე მეტი) განვითარების (ე.წ. Outsourced development – CDO/CDMO) შესახებ კომუნიკაცია, დასრულებულია ტენდერის პროცესი და

## მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

- პროცესი გადასულია ავტორიზაციის ეტაპზე. აღნიშნული პროდუქტები მნიშვნელოვნად გააძლიერებს GM PHARMA-ს მედიკამენტების პორტფელს და ქართველ ექიმებსა და პაციენტებს ბევრი სამედიცინო პრობლემის უკეთესად გადაჭრის საშუალებას მისცემს.
- ❖ 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა “In-licensing”-ის გზით 15 ახალი ბრენდის დანერგვა (სხვადასხვა ეტაპი - კონტრაქტირება, პირველადი იმპორტი, რეგისტრაცია).
  - ❖ აქტიურად გრძელდებოდა მუშაობა “In-licensing” პროექტებით სამომავლოდ დასანერგი პროდუქტების სიის განახლებასა და პროდუქტების შეფასებაზე (ე.წ. “Wish-list”) - დაახლოებით 180 სხვადასხვა მოლეკულა.
  - ❖ GM PHARMA-ში პროდუქციის წარმოება და მიწოდება ხორციელდება ხარისხისა და უსაფრთხოების ყველა საერთაშორისო ნორმისა თუ სტანდარტის დაცვით. 2024 წელიც არ ყოფილა გამონაკლისი - გაგრძელდა არსებული პროცესების და KPI მაჩვენებლების სრულყოფა.
  - ❖ ხარისხის სისტემების შესაბამისობის მიღწევები აუდიტების და სტანდარტების შესაბამისობის კუთხით:
    - GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა სერტიფიცირების ორგანო, გერმანული კომპანია TÜV SÜD Management Service GmbH-ის მიერ განხორციელებული სასერტიფიკაციო აუდიტი ISO 9001:2015 ვერსიის შესაბამისად.
    - ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ (QCL) წარმატებით გაიარა „აკრედიტაციის ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ განხორციელებული საკონტროლო აუდიტი ISO 17025-ის მიმდინარე ვერსიის შესაბამისად.
    - მიკრობიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიამ (MCL) წარმატებით გაიარა „აკრედიტაციის ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ განხორციელებული სასერტიფიკაციო აუდიტი ISO 17025-ის მიმდინარე ვერსიის შესაბამისად.
  - ❖ ხარისხის კონტროლის განყოფილების მიღწევები 2024 წლის განმავლობაში:
    - ხარისხის კონტროლის ლაბორატორებს (QCL, MCL) დაემატა 13 ერთეული შემდეგი ხელსაწყოები/პროგრამები: 2 ერთეული pH მეტრი; 1 ერთეული საფილტავი სისტემა; 1 ერთეული ხილული ნაწილაკების განსასაზღვრი ხელსაწყო; 1 ერთეული შემრევი; 1 ერთეული პროგრამა Erweka Export Manager; 1 ერთეული UV-Vis სპექტროფოტომეტრი; 1 ერთეული აზოტის გენერატორი GC-თვის; 1 ერთეული წყალბადის გენერატორი GC-თვის; 1 ერთეული დაწნეხილი აირის გენერატორი GC-თვის, 2 ერთეული HPLC (მარაგში); 1 ერთეული ჰაერის ასაღები აპარატი.
    - დაინერგა პირველადი შესაფუთი მასალის იდენტიფიკაციის ტესტების ანალიზი და განხორციელდა 80 დასახელების პირველადი შესაფუთი მასალის სპეციფიკაციის შემუშავება.
    - განხორციელდა საწარმოს პერსონალის ტანსაცმლის რეცხვის ვალიდაცია და დაყოვნების ვალიდაცია.
    - ექსპლუატაციაში ჩაეშვა და წარმატებით დასრულდა ხარისხის კონტროლისა და მიკრობიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიაში არსებული ჭურჭლის სარეცხი მანქანაზე ჭურჭლის რეცხვის ვალიდაცია.
    - ლაბორატორიებმა წარმატებით გაიარეს საერთაშორისო დონის ლაბორატორიათაშორის შედარების პროფესიული ტესტირების (PT) 2 რაუნდი.
    - ხარისხის კონტროლისა და მიკრობიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიებმა შენიშვნის გარეშე გაიარეს აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს ყოველწლიური მონიტორინგი ISO17025 სტანდარტთან შესაბამისობაში.
    - ხარისხის კონტროლის ლაბორატორიამ მიმდინარე წელს დაიმატა და განხორციელა შესაბამისი სწავლება 6 ახალი თანამშრომლისათვის.
    - ჩატარდა საწარმოს შიდა შტამის კვლევა/განახლება დასუფთავების 2022-2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით.
    - წარმატებით ჩატარდა ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში 18 და მიკრობიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიაში 28 გარე სწავლება.
    - განხორციელდა ახალი და უკვე არსებული მეთოდების გადახედვა და დანერგვა ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში.
    - მიკრობიოლოგიური კონტროლის ლაბორატორიაში წლის ჭრილში განხორციელდა 3477 საანალიზო ნიმუშზე 11685 ტესტი, ხოლო ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში - 1 536 სერიაზე 11413 ტესტი.
    - განხორციელებული პირველადი კონტროლის ღონისძიება შეადგენს 1 529-ს, ხოლო გაცემული სერტიფიკატების რაოდენობაა 1 227-ს.
  - ❖ GM PHARMA-ს ხარისხის სფეროში უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლის – უფლებამოსილი პირის (Qualified Person) მიერ მოხდა მზა პროდუქტის სერიების სერტიფიცირება, გაშვება შიდა და გარე ბაზარზე რეალიზაციისათვის, EU GMP სტანდარტის მე-16 დანართის შესაბამისად (ე.წ. Batch Release-პროცესი). 2024 წლის განმავლობაში ბაზარზე გაშვებულია სხვადასხვა პროდუქტის: 821 სერია (GM PHARMA-ს საწარმოში სრული ციკლით წარმოებული) და ასევე 467 სერია (კონტრაქტული წარმოების).
  - ❖ ხარისხის უზრუნველყოფის ოპერაციული მართვის განყოფილების მიღწევები 2024 წლის განმავლობაში:



## მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

- შემუშავდა პროდუქტის ხარისხის ყოველწლიური შემოწმების (PQR-Product Quality Review) 2024 წლის გეგმა, რომელიც 100%-ით შესრულდა - ვალიდირებულია 116 PQR.
- ❖ ხარისხის სისტემების შესაბამისობის განყოფილების მიღწევები 2024 წლის განმავლობაში:
  - გათვალისწინებულ ვადებში შესრულდა თვითინსპექციით დაგეგმილი აუდიტები.
  - სატრანსპორტო კომპანიების მიერ ყველა სახმელეთო გადაზიდვა განხორციელდა კონტროლირებული პირობებით (მონიტორინგი ტემპერატურის ლოგერებით).
- ❖ რეგისტრაციის და მარეგულირებელთან ურთიერთობის განყოფილების მიღწევები 2024 წლის განმავლობაში:
  - სხვადასხვა ქვეყნის მარეგულირებელ ორგანოებში GM PHARMA-ს პროდუქტების სარეგისტრაციოდ გაიგზავნა შემდეგი რაოდენობის განაცხადი:
  - პირველადი რეგისტრაცია - 49 (საქართველო - 22 (7 სამკურნალო საშუალება და 15 ბად-ი, საექსპორტო ქვეყნები - 27 (12 სამკურნალო საშუალება 15 ბად-ი).
  - ხელახალი რეგისტრაცია - 68 (საქართველო - 15, საექსპორტო ქვეყნები - 53).
  - ცვლილების რეგისტრაცია - 348 (საქართველო - 112, საექსპორტო ქვეყნები - 236).
  - წარმატებით განხორციელდა დაგეგმილი სამუშაოს მოცულობის და ვადების დაცვა (ხელახალი რეგისტრაციები).
  - დროულად განხორციელდა სერიალიზაციასთან დაკავშირებული ყველა აქტუალური პროდუქტის ცვლილების შეტანა აზერბაიჯანში და ყაზახეთში.
  - არცერთი უარი ხელახალ თუ პირველად რეგისტრაციებზე მარეგულირებლების მხრიდან.
- ❖ ფარმაკოზედამხედველობის განყოფილებამ, რომელიც წარმატებით ვითარდება და ახორციელებს სამკურნალო საშუალებების შესაძლო გვერდითი რეაქციების, მათი გამოყენებისას უსაფრთხოებასა თუ ეფექტურობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხების გამოვლენას, შეკრებას, შეფასებას, შესწავლას და თავიდან აცილებას, 2024 წლის განმავლობაში:
  - კომპანიის ფარმაკოზედამხედველობის სისტემა ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს GVP სტანდარტების შესაბამისად.
  - ყველა პროცესი ყველა საექსპორტო ქვეყანაში სრულდება GVP სტანდარტების და ლოკალური მარეგულირებლების მოთხოვნების და ვადების შესაბამისად.
  - 2024 წლის აგვისტოში (6-8/08/2024) GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა ყაზახეთის მარეგულირებლის ინსპექცია კომპანიის ფარმაკოზედამხედველობის სისტემის ფარმაკოზედამხედველობის სათანადო პრაქტიკის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.
  - გათვალისწინებულ ვადებში შესრულდა საექსპორტო ქვეყნების ლოკალური საკონტაქტო პირების (სომხეთი, ყაზახეთი) დაგეგმილი აუდიტები.
  - დაფიქსირდა, დამუშავდა და მარეგულირებლებს ქვეყნების მიხედვით მიეწოდა 7 გვერდითი რეაქციის შესახებ შეტყობინება.
  - მომზადდა 80 რისკების მართვის გეგმა (RMP).
  - მომზადდა 104 უსაფრთხოების ანგარიში (PSUR).
  - მომზადდა და დაინიცირდა 30 ინსტრუქციის ცვლილება.
  - პროცესების შესრულების შესაბამისად გრძელდება ფარმაკოზედამხედველობის მასტერ-ფაილის და მისი 32 დანართის განახლება - მართვა.
  - განახლდა 8 სოპ-ი და შეიქმნა კიდევ 2 შესავსები ფორმა.
  - ჩატარდა 58 ფარმაკოზედამხედველობის ტრენინგი (პირველადი და პერიოდული).
  - ყოველ წლიურად უვადო სარეგისტრაციო მოწმობების მქონე პრეპარატები ყაზახეთში გადიან სარგებელ - რისკის ექსპერტიზას (The benefit-risk assessment), 2024 წელს გაიგზავნა 3 პრეპარატის ფზ-დოსიე (აზიმაკი, ისმიფენი, ლაქტო G).
  - მუდმივად ტარდება რეკონსილიაცია - უსაფრთხოების შესახებ მონაცემების გაცვლაზე ინფორმაციის შეჯერება კომპანიის პარტნიორებთან (SDEA), ლოკალურ საკონტაქტო პირებთან და მომიჯნავე განყოფილებებთან.
  - კომპანიის პარტნიორებთან გაფორმდა 5 SDEA ხელშეკრულება.
  - კომპანიის ვებგვერდზე განახლდა გვერდითი რეაქციების თაობაზე შეტყობინების ელექტრონული ფორმა და დაემატა ყველა საექსპორტო ქვეყნის ფარმაკოზედამხედველობაზე საკონტაქტო პირების 24/7 ტელეფონის ნომრები და მეილები.
- ❖ GM PHARMA-ს მედიკამენტებით ყოველწლიურად 12 მილიონზე მეტი პაციენტი მკურნალობს საქართველოსა და კომპანიის საერთაშორისო ბაზრებზე (საექსპორტო ქვეყნები), რაც მომხმარებლებისა და

ჯანდაცვის სპეციალისტების მხრიდან კომპანიის აღიარებაზე მეტყველებს. 2024 წელს განხორციელდა დაახლოებით 18.058 მლნ კოლოფის რეალიზაცია.

- ❖ 2024 წელს კომპანიის საერთო შემოსავლების ზრდამ 6% შეადგინა (CAGR 14,9% 2017-2024 წ.წ.).
- ❖ აქტიურად მიმდინარეობდა კომპანიის საგანმანათლებლო და მარკეტინგული აქტივობები, კონფერენციები და ლაივ-ჩართვები სოციალურ პლატფორმებზე. ექიმებს, ფარმაცევტებს, მომხმარებლებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებოდათ პროდუქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის აფთიაქებში არსებულ ნაშთებთან და პროდუქციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ჩატარდა რამდენიმე მასშტაბური მულტინაციონალური კონფერენცია, საქართველოს წამყვანი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარებით. 2024 წლის განმავლობაში, საქართველოსა და საქსპორტო ქვეყნების მარკეტინგული გუნდების მიერ ჩატარებულია 500-ზე მეტი ჯგუფური ღონისძიება.
- ❖ 2024 წლის განმავლობაშიც აქტიურად გაგრძელდა 2021 წლის დეკემბერში დანერგილი მომხმარებელთა (ექიმები) კმაყოფილების ინდექსის (CSI) განმსაზღვრელი გამოკითხვები (როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ ჩატარებულ ღონისძიებებზე) - როგორც კომპანიის პროდუქციის, ასევე ჩატარებული საგანმანათლებლო-მარკეტინგული აქტივობების ხარისხის შეფასების მიმართულებით.
- ❖ კომპანიის გაყიდვების სამსახურში გრძელდება CRM სისტემის გაუმჯობესება და ეფექტურობის გაზრდა.
- ❖ რუტინულად მიმდინარეობს მომწოდებლების ფასების ვარიაციის, ფინანსური კოეფიციენტების, ინვესტიციების ეფექტურობის სკრუპულოზური ანალიზი.
- ❖ ციფრული სისტემებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელდა და მიმდინარეობდა რამდენიმე სტრატეგიული პროექტი, რომელიც მიმართული იყო ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებასა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან:
  - სტრატეგიული ტრანსფორმაცია: 2024 წელს DSIT-მა წარმატებით დაასრულა თავისი ფუნდამენტური ტრანსფორმაცია. განყოფილება, რომელიც წარსულში მხოლოდ პრობლემების რეაქტიულად მოგვარებას ემსახურებოდა, გადაიქცა პროაქტიულ პარტნიორად, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს კომპანიის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში. ეს ცვლილება უზრუნველყოფს, რომ ტექნოლოგიები წინასწარ პასუხობდეს ბიზნესის საჭიროებებს და ქმნიდეს გაზომვად სარგებელს.
  - ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია: 2024 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო 12-წლიანი მოძველებული სერვერული ინფრასტრუქტურის სრული ჩანაცვლება. შედეგად, კრიტიკულ GMP სისტემებში მიღწეულია 99.98%-იანი უწყვეტი მუშაობა, ამასთან ერთად განხორციელდა დოკუმენტების ბრუნვის სისტემის (AMPLEXOR-ის) უსაფრთხო ღრუბლოვანი მიგრაცია. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად ამცირებს საოპერაციო რისკებს.
  - ქსელის სტაბილურობა და უწყვეტობა: ქსელური შეფერხებები, რომლებიც წარსულში სამუშაო პროცესებს საგრძნობლად აფერხებდა, მთლიანად აღმოიფხვრა. განახლდა ცენტრალური სვიჩები და ფაიერვოლები, დაინერგა SD-WAN ტექნოლოგია, ორმაგი პროვაიდერით. მომავალი ნაბიჯია Starlink-ის მესამე დონის სარეზერვო კავშირის დანერგვა, რაც კომპანიის სრულ კომუნიკაციურ უწყვეტობას უზრუნველყოფს.
  - სერიალიზაციის ავტომატიზაცია: DSIT-მ უზრუნველყო სერიალიზაციის პროცესის სრული ტექნიკური კონტროლი. VISIOTT-ხაზის და სისტემის მარეგულირებლის პორტალებთან პირდაპირი ინტეგრაცია და საწყობისთვის ახალი აპლიკაციების დანერგვით გამოირიცხა სერიალიზებული პროდუქციის სავალდებულო დოკუმენტების ბრუნვის შეცდომები. ეს ინოვაცია კომპანიის საშუალებას აძლევს უსაფრთხოდ და სწრაფად მოემსახუროს რეგულირებად ბაზრებს, სადაც სიზუსტე კრიტიკულად მნიშვნელოვანია.
  - უსაფრთხოების გაძლიერება: შექმნილია ცენტრალიზებული მონიტორინგის ოთახი, საიდანაც რეალურ დროში კონტროლდება ყველა ობიექტი. კამერები სრულად განახლდა მაღალი გარჩევადობის მოდელებზე, ხოლო Access Control სისტემა გადის GMP ვალიდაციას. შედეგად, დაიხურა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აუდიტორული რისკი და გაძლიერდა კომპანიის უსაფრთხოების სტანდარტები.
- ❖ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიღწევები 2024 წლის განმავლობაში:
  - შეიქმნა და დამტკიცდა On boarding და Off boarding პროცედურები და მათი Check list-ები.
  - კომპანიის მიზნებისა და გეგმების შესაბამისად შესრულდა 2024 წლის სწავლება-განვითარების გეგმა, გეგმიურად განახლდა სწავლებების ერთიანი მოდული თითოეული პოზიციისთვის.
  - 2024 წელს ჯამში დაიგეგმა 628 სწავლება (გარე, შიდა).
  - დაორგანიზდა და ჩატარდა 29 გარე სწავლება 154 თანამშრომლისთვის.
  - ჩატარდა 735 სავალდებულო და 144 პირველადი ტესტირება.

- 56 ახალ თანამშრომელს ჩაუტარდა On boarding და ყველა სავალდებულო პირველადი ტრენინგი და მოხდა მათი გადამზადება პოზიციის შესაბამისი სწავლების მოდულის შესაბამისად.
- შემუშავდა და დამტკიცდა თანამშრომლის გზამკვლევი (Employee Handbook).
- შემუშავდა და დამტკიცდა ახალი თანამშრომლის მოთხოვნის ფორმა.
- გადაიხედა და შეიცვალა რეკრუტინგის მიდგომები, გაიზარდა ვაკანსიის ხილვადობა და კანდიდატების ინტერესი.
- წარმატებით განხორციელდა LIME და BIOSTAR ინტეგრაცია, რის საფუძველზეც გაციფრულდა თანამშრომლების დასწრების რეპორტი.
- შეიქმნა დამატებითი ნამუშევარი საათების ანაზღაურების გაცემის შესახებ ინსტრუქცია და შესავსები ფორმა.
- გაფორმდა 188 ახალი ხელშეკრულება თანამშრომლებთან (საგამოცდო, ვადიანი, უვადო, შეთანხმება).
- შეიქმნა 56 ახალი სამუშაოს აღწერილობა, განახლდა აღწერილობები 49 პოზიციაზე, 115 თანამშრომელთან.
- 2024 წლის განმავლობაში გამოცხადდა 41 ვაკანსია, გასაუბრებები ჩატარდა 222 კანდიდატთან, დაიხურა 19 პოზიცია.
- განყოფილებამ წარმატებით გაიარა ოთხი გარე აუდიტი.
- ❖ GM PHARMA ქართული ფარმაცევტული სექტორის ლიდერის სტატუსით წარადგინა საქართველო საერთაშორისო ფარმაცევტულ გამოფენაზე "CPHI Milan 2024", სადაც მსოფლიოს მასშტაბით ათასობით პროფესიონალი მწარმოებელი, მომწოდებელი და შემსყიდველი კომპანია იღებდა მონაწილეობას. აღნიშნულ გამოფენაზე, GM PHARMA მედიკამენტების მწარმოებელი ერთადერთი ეგზიბიტორი (ექსპონენტი) კომპანია იყო საქართველოდან.
- ❖ 2024 წელს GM PHARMA დაჯილდოვდა შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის მიერ, ნომინაციაში "წლის ლიდერი" – GM PHARMA აღიარებულია საუკეთესო ფარმაცევტულ კომპანიად საქართველოში საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით "ბრუნვა", ასევე დასაქმებულებზე დანახარჯების მიხედვით.

კომპანიის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია:

მოკლევადიანი გეგმები (1-3 წელი):

- ❖ სრული შემოსავლების ზრდა - CAGR 20% 2024-2026 წლებში.
- ❖ ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდა - CAGR 30% 2024-2026 წლებში.
- ❖ საოპერაციო მოგების მარჟის მინიმუმ 5%-ით გაზრდა.
- ❖ 2024 წელს უფრო მეტად გააქტიურება კვლევისა და განვითარების მიმართულება (R&D), რომელიც 2025-2027 წლებში დასრულდება 20 გამორჩეული, მათ შორის უანალოგო (ე.წ. სუპერჯენერიკული) პრეპარატის შექმნით.
- ❖ უცხოურ კვლევით ლაბორატორიებთან მუშაობის გაგრძელება და დროის მოგების მიზნით, ახალი პროდუქტების გარკვეული ნაწილის უცხოურ R&D ლაბორატორიებში (CDMO/CDO) განვითარება.
- ❖ ევროპის მარეგულირებელთან (ევროკავშირის რომელიმე წინასწარ შერჩეულ ქვეყანაში) რამდენიმე ახალი მოლეკულის განაცხადის წარდგენა
- ❖ EU GMP ინსპექტირების გავლა

გრძელვადიანი პროექტები:

- ❖ „ბესტსელერი“ პროდუქტების რაოდენობის 40-მდე გაზრდა („ბესტსელერი“ - პროდუქტი, რომლის რეალიზაცია წლის განმავლობაში ჯამურად ყველა ბაზარზე აჭარბებს 3 მილიონ ლარს).
- ❖ თურქეთში, ასევე ესპანეთსა და გერმანიაში წარმოებაში ინვესტირება მათი საინვესტიციო მიზიდიდელობიდან გამომდინარე.

ევროკავშირის ქვეყნებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ასევე სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში ოპერირების დაწყება.

### ინფორმაცია უცხოური წარმომადგენლობების საქმიანობაზე

კომპანიას დარეგისტრირებული აქვს 200-მდე დასახელების მედიკამენტი 10 სხვადასხვა ქვეყანაში:

-  უზბეკეთი
-  ტაჯიკეთი
-  ყირგიზეთი
-  სომხეთი
-  მოლდოვა
-  აზერბაიჯანი
-  ყაზახეთი
-  ბელარუსი
-  უკრაინა
-  ლიბია

აქედან, GM PHARMA საკუთარი ფილიალების/წარმომადგენლობების სახით წარმოდგენილია 7 ქვეყანაში (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი).

2024 წლის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა კომპანიის საერთაშორისო ბაზრებზე:

-  უზბეკეთი - 163
-  ტაჯიკეთი - 20
-  ყირგიზეთი - 34
-  სომხეთი - 16
-  მოლდოვა - 13
-  ყაზახეთი - 2
-  აზერბაიჯანი - 2

### მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოს ჯანდაცვის ბაზარი

კოვიდ-პანდემიის გამო, 2020 წელი, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისთვისაც. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.2%-ით შემცირდა (ექსპორტი -12%; იმპორტი -15,9%).<sup>1</sup> ეკონომიკის საშუალო დღიური დანაკარგი საგანგებო მდგომარეობისა და კარანტინის გამო 16 მლნ ლარს შეადგენდა; ჯამურმა დანაკარგმა კი 1 მლრდ ლარს მიაღწია. მნიშვნელოვნად შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა და მათი ხელფასები. 2020 წელს არსებულმა ვითარებამ, თავისთავად, დიდი ზეწოლა მოახდინა ლარის კურსზეც, რომელიც დოლარის მიმართ გაუფასურდა 14.6%-ით და ამან გასწავთრებულად იმოქმედა ბიზნესის შედეგებზე.<sup>2</sup> 2021 წელს საგრძნობლად გაიზარდა ფასები ყველანაირი მოხმარების პროდუქტიაზე, რამაც გავლენა იქონია გარკვეული ხარჯების ზრდაზე.

2021 წლის დასაწყისში „კოვიდ პერიოდის“ უარყოფითი გავლენა ისევ იგრძნობდა და საკმაოდ რთული აღმოჩნდა სხვადასხვა ინდიუსტრიებისთვის როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის მეორე ნახევარში ქვეყანამ დაიწყო ეტაპობრივი აღდგენა, რაც თავისთავად აისახა სხვადასხვა ფინანსურ და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. 2021 წელს საქართველოს რეალური მშპ გაიზარდა 10.4%-ით. დოლარის კურსი კი გამყარდა 5.78%-ით.

რაც შეეხება ფარმაცევტულ სექტორს, ფარმაცევტული ბაზრის რეფორმებმა - პარალელური იმპორტისა და საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოების (ამერიკის სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაცია - “FDA” და ევროპის მედიკამენტების სააგენტო - “EMA”) მიერ აღიარებული მედიკამენტების რეგისტრაცია; 0% დღგ-ს განაკვეთი მედიკამენტებზე; საბაჟო მოსაკრებლებისა და ფასის კონტროლის არარსებობა - ხელი შეუწყო

<sup>1</sup> NBG, 2020

<sup>2</sup> სეზ, 2020

## მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საქართველოში კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას.


ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა, რომელმაც სათავე დაუდო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უნივერსალურ მოცვას. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ევროპის ბიურომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა წარმატებულ პროექტად აღიარა ევროპის ქვეყნების 2015 წლის ჯანმრთელობის ანგარიშში. აღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ასევე ჯანდაცვით მომსახურების სრულ სპექტრზე ხელმისაწვდომობის ზრდისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

2018 წელს მიღებული იყო ძალიან მნიშვნელოვანი დადგენილება სახელმწიფოს მიერ, რომლის მიხედვითაც 2022 წლიდან საქართველოში GMP სტანდარტებზე გადასვლა ხდება სავალდებულო, თუმცა 2019 წლის ივლისიდან ქართული GMP სერტიფიკაციის სისტემა იყო ნებაყოფლობითი. 2022 წლის დასაწყისში, GM PHARMA-მ წარმატებით გაიარა კარგი საწარმოო პრაქტიკის ნაციონალური GMP ინსპექცია და მიენიჭა GMP სტანდარტებთან შესაბამისობის ნაციონალური სერტიფიკატი.

GMP სტანდარტის ამოქმედება ხელს უწყობს მედიკამენტის უსაფრთხოებისა და სანდოობის განმტკიცებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ახალისებს ახალი ბაზრების ათვისებას და ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას.

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

## ძირითადი კოეფიციენტები





## მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს


(ლარში)

ძირითადი ინდიკატორები:

1. *საერთო მოგების მარჟა* - საერთო მოგება/ამონაგები . ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს სხვაობას თვითღირებულებას და გასაყიდ ფასს შორის
2. *საოპერაციო მოგების მარჟა* - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/ამონაგები . ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას
3. *მოგება დაბეგვრამდე* - მოგებას დაბეგვრამდე/ამონაგები . ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლი რა ნაწილი რჩება მოგებად მოგების გადასახადის გადახდამდე
4. *წმინდა მოგების მარჟა* - წმინდა მოგება/ამონაგები . ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს შემოსავლის რა წილი რჩება კომპანიას მოგება

2024 წელს აღინიშნება საერთო შემოსავლის გაზრდა 41%-ით . პროცენტული მაჩვენებლების ზრდაა ასევე დანარჩენ კოეფიციენტებშიც , წმინდა მოგების მარჟას , მოგება დაბეგვრამდე და საოპერაციო მოგების მარჟის მაჩვენებლებში.

## სამუშაო კაპიტალი და კოეფიციენტები



*სამუშაო კაპიტალი* = მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები

*სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი* = ფული და ფულის ექვივალენტი/მიმდინარე ვალდებულებები . ეს ინდიკატორი აჩვენებს, რამდენად შეუძლია კომპანიას მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრება ფულით და მიაწოდოს კომპანიის ლიკვიდურობაზე.

*ლიკვიდობის კოეფიციენტი* = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები . ეს ინდიკატორი მიუთითებს თუ რამდენად მზად არის კომპანია არსებული მიმდინარე რესურსებით დაფაროს არსებული მიმდინარე ვალდებულებები.

## მმართველობის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)


სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები . ეს კოეფიციენტიც არის ლიკვიდურობის მაჩვენებელი , რომელიც არ ითვალისწინებს მარაგებს , რადგან მარაგები მიმდინარე აქტივებში ყველაზე არალიკვიდური აქტივია.

2024 წელს გაზრდილია ლიკვიდობის კოეფიციენტის მაჩვენებლები . კომპანიის მიმდინარე აქტივები 13,46-ჯერ აღემატება მოკლევადიან ვალდებულებებს 2024 წლის მდგომარეობით.


ვალდებულების კაპიტალთან შეფარდება  
2022 წელი



ვალდებულების კაპიტალთან შეფარდება  
2023 წელი



## ვალდებულების კაპიტალთან შეფარდება 2024 წელი





მთლიანი ვალდებულების მთლიან კაპიტალთან შეფარდება არის კომპანიის ფინანსური რისკიანობის ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს რამდენად რისიკიანი სტრუქტურა აქვს კომპანიის დაფინანსების წყაროს. 2022 წელს მთლიანი ვალდებულების შეფარდება კაპიტალთან შეადგენს 19%-ს, 2023 წელს-11%, ხოლო 2024 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 6%. სამუშაო კაპიტალის ოდენობისა და მიმდინარე/სწრაფი კოეფიციენტების გათვალისწინებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, ის არ დგას დაფინანსების რისკის წინაშე და ახდენს საოპერაციო საქმიანობის საკუთარი კაპიტალით დაფინანსებას.

## სოციალური პასუხისმგებლობა

GM PHARMA აღჭურვილია უახლესი ევროპული და ამერიკული წარმოების მანქანა-დანადგარებით. პროდუქტი იწარმოება სრული ტექნოლოგიური ციკლის ყველა ეტაპის დაცვით საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად. სათანადო წარმოების პრაქტიკა უდევს საფუძვლად როგორც ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, ასევე პროცესებს. კომპანიას აქვს მაღალი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა. GM PHARMA არ აზინძურებს გარემოს, აქვს ფილტრაცია და ნარჩენების კონტროლი.

კომპანია მოქმედებს შრომის კოდექსის შესაბამისად, დაცულია დასაქმებულთა უფლებები და უსაფრთხოების ნორმები. თანამშრომლები გადიან სავალდებულო სამედიცინო შემოწმებებს.





## ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

### კანონთან შესაბამისობა

GM PHARMA ოპერირებს ჯანდაცვის სფეროში და შესაბამისად ეხება რეგულაციები.

საქართველოს ბაზარი არის განვითარებადი, კანონმდებლობაც პერიოდულად იხვეწება და მომავალშიც შესაძლებელია კომპანიის საქმიანობას შეეხოს გარკვეული ცვლილებები.

### ეფექტი

კანონთან და რეგულაციებთან შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი, ჯარიმები, შეზღუდვები, რეპუტაციის დაცემა.

### რისკის შემცირება

კომპანიას აქვს შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობის ვალდებულებების მისაღწევად - ხარისხის მენეჯმენტი, ნარჩენების მენეჯმენტი და ა.შ..

ორგანიზაციის იურიდიული სამსახური ჩართულია ყოველი მნიშვნელოვანი კონტრაქტის განხილვის პროცესში. ფინანსური დეპარტამენტი კონსულტანტებთან ერთად უწევს მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და მასთან შესაბამისობას აკონტროლებს.

### კადრების გადინება

კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრების ყოლა და მათი შენარჩუნება. წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ჩვენს უნარზე ავიყვანოთ, დავატრენინგოთ და შევინარჩუნოთ შესაბამისი რაოდენობით კვალიფიციური კადრები, რათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ვაწარმოოთ და მივაწოდოთ მომხმარებელს პროდუქცია.

### ეფექტი

თუ ვერ ვახერხებთ ეფექტურად კვალიფიციური კადრების ჩვენთან დასაქმებას, ვერ შევძლებთ არსებული სტანდარტის შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს საოპერაციო საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე.

### რისკის შემცირება

GM PHARMA თანამშრომლობს საერთაშორისო სატრენინგო კომპანიებთან და მუდმივად ატარებს ტრენინგებს თანამშრომლების განვითარებისთვის. ასევე აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ საერთაშორისო კონფერენციებში, ადგილზე ჩამოდიან უცხოელი კონსულტანტები და ატარებენ ტრენინგებს.

კომპანიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სამედიცინო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც ფარმაციის მაგისტრატურის ერთ კურსს სტუდენტები გადაიან GM PHARMA- ში, როგორც თეორიულ კურსს, ასევე ესწრებიან პრაქტიკულ ნაწილს მიმართულებების შესაბამისად. ბოლო პერიოდში აყვანილი თანამშრომლების ნაწილი სწორედ ამ სტუდენტებისგან შეირჩა.

კომპანია ასევე თანამშრომლობს სან-დიეგოს უნივერსიტეტთან საქართველოში, უწევს სპონსორობას ამ უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის 4 სტუდენტს და აპირებს მათ დასაქმებას სწავლის დასრულების შემდეგ.

მნიშვნელოვან პოზიციებზე საკადრო რისკების შესამცირებლად ასევე მოხდა გამოცდილი უცხოელი კადრების მოწვევა კომპანიაში სხვადასხვა დეპარტამენტებში.

## სავალუტო და მაკროეკონომიკური

GM PHARMA დგას სავალუტო რისკის წინაშე, სამედიცინო აღჭურვილობისა და ნედლეულის შესყიდვების დიდი პროპორცია დენომინირებულია დოლარსა და ევროში. კომპანია ასევე დგას მაკროეკონომიკური რისკის წინაშე. სხვადასხვა შემთხვევამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყანაზე, ეკონომიკაზე, შემცირდეს მშპ ან მნიშვნელოვნად გაიზარდოს ინფლაციის დონე.

### ეფექტი

კურსის ცვლილებისას დისტრიბუტორები კარგავენ თანხებს, შესაბამისად კომპანია დგას მოთხოვნების გაუფასურების რისკის წინაშე, ხშირ შემთხვევებში გადახდის ვადები იზრდება.

### რისკის შემცირება

რისკის შესამცირებლად, GM PHARMA ცდილობს გაყიდვა განახორციელოს წინასწარი ჩარიცხვით. წასახალისებლად სთავაზობს პარტნიორ კომპანიებს ფასდათმობებს.

ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

## ფალსიფიცირება

კომპანიის წარმატების პარალელურად, იგი დადგა მისი პროდუქციის ფალსიფიცირების რისკის წინაშე. ტექნოლოგიების დახვეწის კვალდაკვალ რთულდება ფალსიფიკატორებთან ბრძოლა.

### ეფექტი

ფალსიფიცირებული პროდუქცია უფრო იაფია, შესაძლოა შეიცავდეს საშიშ ნივთიერებებს და უარყოფითად იმოქმედოს პაციენტის ჯანმრთელობაზე, შესაბამისად კომპანიის იმიჯის შემლახველია, რაც თავისმხრივ ფინანსურ შედეგზეც აისახება.

### რისკის შემცირება

GM PHARMA-ს წარმოებულ თითოეულ კოლოფზე სერიის გარდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებაა დატანილი, კომპანია იყენებს ორგანოზომილებიან შტრიხკოდს. გარდა ამისა 2020 წელს საწარმოს დაემატა ლაზერული მარკირების დანადგარი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია 1000-მდე განსხვავებული სიმბოლოს დატანა კოლოფზე, რაც მინიმუმადე ამცირებს მედიკამენტების ფალსიფიკაციის რისკს.

## საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება არასაკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, სესხების გასასტუმრებლად და სხვა ფინანსური ვალდებულებების დასაფარად დადგენილ ვადებში.

### რისკის შემცირება

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებას, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

**მმართველობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით კომპანია ახორციელებს მომხმარებლების ვადაგადაცილებების მუდმივ ანალიზს. კომპანიას საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ჰყავს დიდი ოდენობით დებიტორები, აქედან გამომდინარე, მათი დავალიანების ხანდაზმულობის მონიტორინგი ხდება ინდივიდუალურად. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ინდივიდუალურად აფასებს დებიტორებს გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად და ასეთის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს მათ დარეზერვებას.

მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

დაფინანსების რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში (შენიშვნა 5).

**ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

**დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ**

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

\_\_\_\_\_

გ. გოგილაშვილი

ფინანსური დირექტორი

\_\_\_\_\_

მ. კერესელიძე

შპს „ჯი ემ ფარმასიუტიკალს“



მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით კომპანია ახორციელებს მომხმარებლების ვადაგადაცილებების მუდმივ ანალიზს. კომპანიას საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ჰყავს დიდი ოდენობით დებიტორები, აქედან გამომდინარე, მათი დავალიანების ხანდაზმულობის მონიტორინგი ხდება ინდივიდუალურად. კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ინდივიდუალურად აფასებს დებიტორებს გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად და ასეთის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს მათ დარეზერვებას.

მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 5).

დაფინანსების რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში (შენიშვნა 5).

#### ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.


#### დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი



გ. გოგილაშვილი

მ. კერესელიძე

